ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 10 დეკემბერი 1999 №237 (1010) | ფასი 50 თეთრი


3

## ვიდრე ძოფი გაიღვიძებს

საქართველო მსაჯია თვლის რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი ერიხ ენეი





## დაუჯერეთ ხორენ ოგანესიანს

გვირჩევს ლიტველთა თავკაცი სტასის სტანკუსი

14

## მსაჯები ნუ დაგავიწყდებათ!



მურმან ქურიძის წერილი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას

15

## ფილადელფიაში დაწყებული და დამთავრებული



ჩარლზ ბარკლიმ კარიერა დაასრულა

# ყიფიანი 60 ძოძუაშვილი 40

როგორც ჩანს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არც დღეს, 10 დეკემბერს, გამოაცხადებს, ვის ჩააბარებს ეროვნულ გუნდს, ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი.

ფედერაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ტოკიოში გამართული მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრიდან გუშინ საღამოს დაბრუნდნენ და შეპირებისამებრ სწორედ დღეს უნდა გაემხილათ ახალი მწვრთნელის ვინაობა.

ჩვენ კი წუხელ შევიტყვეთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა ჯერაც ფიქრობს და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. ისინი მხოლოდ ორ კანდიდატურას განიხილავენ. თავის დროზე ორივეს ერთადაც უმუშავია ეროვნულ ნაკრებში. ერთი დავით ყიფიანია, მეორე — რევაზ ძოძუაშვილი, სხვა არავინ, არც გაიოზ დარსაძე, რომელიც აქამდე ერთ-ერთი კანდიდატი იყო.

გავიგეთ ისიც, რომ ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის მეტი შანსი ყიფიანს აქვს, შედარებით მცირე — ძოძუაშვილს. დაახლოებით 60 პროცენტი ყიფიანისაა, 40-მდე ძოძუაშვილის.

ფედერაციის ხელმძღვანელობას რევაზ ძოძუაშვილთან ჯერ არ ულაპარაკია, უცნობია ყიფიანთან საუბრის შინაარსი. დღეს მოსალოდნელია მერაბ ჟორდანიას, ვალერი ჩოლარიას და ალექსანდრე ჩივაძის შეხვედრა ორივე კანდიდატთან, რის შემდეგაც საბოლოო სიტყვა უნდა ითქვას.

ვნახოთ, არჩევანი ფედერაციაზეა. ან ყიფიანი, ან ძოძუაშვილი...

ქოგა ინასარიძე



დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

# დარჩა უეფა უქართველებოდ

UEFA CUP წუხელ უეფას თასმა ბოლო ორი ქართველი ფეხბურთელიც ჩამოიცილა



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლი — რომა 0:0. ნიუკასლელ თემურ ქეცბაიას ფეხებში „რომას" ბრაზილიელი კაფუ ჩახტომია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარჩა უეფა უქართველებოდ



REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — უდინეზე 1:2. მასპინძელი კარსტენ რამელოსა (№28) და მასიმო მარჯიოტას მხატვრული ორთაბრძოლა

**უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი**
საპასუხო მატჩები. 9 დეკემბერი

UEFA CUP

შტურმი (ავსტრია) 3:3 დ.დ. (2:1) *პარმა (იტალია)* (1:2)
0:1 სტანიჩი (5), 1:1 რაინმაიერი (67), 2:1 ვასტიჩი (87), 3:1 რაინმაიერი (95), 3:2 სტანიჩი (110), 3:3 კრესპო (120)

ლევერკუზენი (გერმანია) 1:2 *უდინეზე (იტალია)* (1:0)
0:1, 0:2 მარჯიოტა (9, 18), 1:2 ბალაკი (21)

*ატლეტიკო (ესპანეთი)* 2:1 ვოლფსბურგი (გერმანია) (3:2)
1:0 ჰასელბაინკი (4), 1:1 აკონორი (56 პ) 2:1 კორეა (86)

*მონაკო (საფრანგეთი)* 1:0 აეკ (საბერძნეთი) (2:2)
1:0 სიმონე (32)

*გალათასარაი (თურქეთი)* 2:1 ბოლონია (იტალია) (1:1)
1:0 სასი (5), 1:1 მენტოლა (8), 2:1 უმითი (29)

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1:4 *ლანსი (საფრანგეთი)* (2:1)
0:1 ჟობი (20), 1:1 ხრისტოვი (21), 1:2 ჟობი (40), 1:3 სტრასერი (56 ს.კ.), 1:4 ნიარკო (90)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:1 *დეპორტივო (ესპანეთი)* (2:4)
1:0 ასანოვიჩი (77 პ), 1:1 მაკაი (90)

*ლიდსი (ინგლისი)* 1:0 სპარტაკი (რუსეთი) (1:2)
1:0 რადებე (84)

*მალიორკა (ესპანეთი)* 2:0 აიაქსი (ჰოლანდია) (1:0)
1:0 სოლერი (3), 2:0 ბიაჯინი (73)

ნიუკასლი (ინგლისი) 0:0 *რომა (იტალია)* (0:1)

ბენფიკა (პორტუგალია) 1:1 *სელტა (ესპანეთი)* (0:7)
0:1 მაკკარტი (18), 1:1 კასერესი (79 ს.კ.)

ნანტი (საფრანგეთი) 3:3 *არსენალი (ინგლისი)* (0:3)
1:0 სიბირსკი (13), 1:1 გრიმანდი (24), 1:2 ანრი (31), 1:3 ოვერმარსი (42), 2:3 სიბირსკი (58), 3:3 ვაირუა (79)

სტიაუა (რუმინეთი) 1:1 *სლავია (ჩეხეთი)* (1:4)
1:0 ჩიოკოიუ (45), 1:1 დოსტალეკი (49)

თემურ ქეცბაიას „ნიუკასლ იუნაიტედმა“ იტალიის ჩემპიონატის ერთ—ერთ უძლიერეს გუნდ „რომასთან“ შინ, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ 0:0 ითამაშა და პირველ შეხვედრაში 0:1 დამარცხების გამო გათამაშებას გამოეთიშა. ქართველი ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში 74-ე წუთამდე თამაშობდა, ხოლო ბოლო 16 წუთის განმავლობაში მაყურებელმა მის ნაცვლად მოედანზე დანკან ფერგიუსონი იხილა.

რაც შეეხება ჩვენი ნაკრების მეორე წევრს, შოთა არველაძეს, იგი მოგეხსენებათ დაშავებულია და მკურნალობს, მის გარეშე კი დალმა მიმავალმა „აიაქსმა“ შინ ნაგებულ 0:1—ს მალიორკაზე 0:2 დაამატა და ბუნებრივია შეჯიბრებას ჩამოშორდა.



REUTERS მონაკოდან

მონაკო — აეკ 1:0. მონაკოელი მარკო სიმონე (მარჯვნივ) ნიკოლაოს კოსტენოღლუს ჩამოტოვებას ცდილობს

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე დავით გვარამაძისთვის გასული სეზონი წარმატებული გამოდგა. გვარამაძე, მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე „კრილია სოვეტოვს“ შეუერთდა. სამარელებმა ქართველი მეკარე რიგის „სკონტოსგან“ ინათხოვრეს და არც შემცდარან. „კომკამ“ „კრილია სოვეტოვის“ რუსულ საფეხბურთო ელიტაში დარჩენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და იქაური სპეციალისტების აღიარებაც დაიმსახურა. მისი კარგი თამაში არც რუსულ პრესას გამორჩენია. გვარამაძეს ქების სიტყვები მათგანაც არ დაკლებია. სეზონის შემდეგ კი ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გამოცემა „სპორტ ექსპრესმა“ ჩვენებური თავის ნომინაციებშიც შეიყვანა. დავით გვარამაძე რუსეთის ჩემპიონატის დებიუტანტთა და ახალგაზრდა მეკარეთა გამოკითხვაში საუკეთესოთა შორის მოხვდა. შეიძლება ითქვას, ქართველმა მეკარემ ფორმა დაიბრუნა და პროგრესსაც განიცდის.



დავით გვარამაძე

რამდენიმე დღეა გვარამაძე თბილისში დაბრუნდა. იგი, ისევე როგორც „კრილია სოვეტოვის“ კიდევ სამი ქართველი — ზურაბ ფოფხაძე, ზურაბ წიკლაური და ლაშა მონასელიძე — შვებულებაშია.

# კრილიას ქართველები სჭირდება

— ათიოდე დღეა თბილისში ვიმყოფები. კლუბის ხელმძღვანელობამ 18 დეკემბრამდე დაგვითხოვა. 18-ში კი შევიკრიბებით და მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას დავიწყებთ.

**— წამოსვლის წინ შენს მომავალზე ხომ არაფერი უთქვამთ?**

— არა, ჯერჯერობით არაფერი ვიცი, რა როგორ იქნება. მხოლოდ ის მითხრეს, რომ ჩამოხვალ, ყველაფერს მერე გადავწყვეტთო.

**— როგორც ვიცით, „კრილია სოვეტოვი“ „სკონტოსგან“ შენი გამოსყიდვით ძალიან არის დაინტერესებული...**

— კი, სამარელებს დიდი სურვილი აქვთ ჩემი ყიდვისა. მგონი, ლატვიური კლუბის ხელმძღვანელობასაც დაუკავშირდნენ და რაღაც სცადეს, თუმცა, ეტყობა, არაფერი გამოუვიდათ. როგორც გითხარით, ყველაფერი დეკემბრის მიწურულს გადაწყდება.

**— გასული სეზონი გუნდმა არცთუ კარგად ჩაატარა. მთელი წელი დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდით. გავიგეთ, კლუბის ხელმძღვანელობა მომავალ ჩემპიონატში იგივეს აღარ აპირებს და სამაოდ სერიოზულ მიზნებსაც გისახავთ.**

— ასეა. გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგებით სამარელები უკმაყოფილონი დარჩნენ და გუნდის გაძლიერება გადაწყვიტეს. კლუბის ხელმძღვანელები დიდ სამზადისში არიან, მიზანსაც სერიოზულს უსახავენ გუნდს. ხუთეულში უნდა მოვხვდეთო, ამბობენ. რამდენად შევძლებთ მიზნის მიღწევას, ამას თავად ჩემპიონატი გვიჩვენებს.

**— ფოფხაძესა და წიკლაურს ცსკა ეპატიჟებოდა. მათი საქმე როგორ არის?**

— ფოფხაძეს არმიული კლუბის გარდა სხვა რუსული გუნდებიც სთავაზობდნენ წინადადებებს, მაგრამ არ გაუშვეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ იგი მომავალ სეზონსაც „კრილია სოვეტოვში“ გაატარებს. ზუსტად იგივე მდგომარეობაშია წიკლაურიც. მათ კლუბთან კონტრაქტი კვლავაც აკავშირებთ, სამარელებმაც თავიანთი მომავალი გეგმებიდან გამომდინარე მათი შენარჩუნება მტკიცედ გადაწყვიტეს და ეს მოაზრეს კიდეც. ფოფხაძეც და წიკლაურიც „კრილიასთვის“ ძალიან საჭირო ფეხბურთელები არიან.

ვანო ოქროპირიძე

# ამონაკრებები ქართული საფეხბურთო სკივრიდან

— ქართულ ფეხბურთს აუცილებლად სჭირდება იტალიელი კოლინასდარი არბიტრები. ქართველი მსაჯები. — გუნთაძე, ლაცაბიძე, მალალურაძე, შილაკაძე, კვარაცხელია ვერასოდეს შეძლებენ გახდნენ კოლინა. საამისოდ მათ მეტად ბევრი თმა აქვთ თავზე.

— როგორ გგონიათ, რა არის ადვილი? ჩემპიონობა? — არა, პრიზიორობა? — არა, ასპროცენტიანი პენალტის დანიშვნა? — არა, „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში შეყვანა? — არა.

„ადვილი“ ტკივილსაწინააღმდეგო პრეპარატია, რომლითაც „ვიტ ჯორჯიას“ თერთმეტივე ფეხბურთელმა შეძლო დაეამებინა „ლოკომოტივთან“ საშიში მატჩის წინ ავარდნილი თავის ტკივილი.

— „ალანია“... რას შეიძლება შეადარო? ალბათ, ისევ ჯანმრთელ, კომფორტაბელურ საშვილოსნოს. ყოველწლიურად, დოზა-დოზა რომ უშხაპუნებენ ქართულ საფეხბურთო მასალას. მერე გადის თვეები და იბადება საშუალო სიდიდის ვარსკვლავი.

არ უწერია ქართულ-„ალანიურ“ კონვეიერს მოშლა. ერთი ბომბარდირი სულ მოიძებნება საქართველოში — ყაველაშვილი, აშვეთია, დემეტრაძე... სხვებიც.

— ერთმა ქართველმა საფეხბურთო ჩინოსანმა „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ სკანდალური მატჩის შემდეგ შეხვედრის არბიტრზე, ცოტა არ იყოს, გაბრაზებითა თქვა — ეგეც კაიხელა „კაზიოლიაო“... ვეთანხმები. ასკაროლლი „კაზიოლია“ ოღონდ „ოტპუშჩენია“.

# ვიდრე ძოფი გაიღვიძებს

*უცნაური ვინმე ყოფილა ქვეყნად განთქმული დინო ძოფი, საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის, იტალიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი.*

*— მე ქართველებს უკვე ვესაუბრე, აქ ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი იყვნენ. ნუ შემაწუხებთ, მეძინება — გვითხრა დინო ძოფმა ტოკიოდან, ნილისყრის შემდეგ. არადა, რა ვთხოვეთ, ერთი-ორი სიტყვა ეთქვა მეტოქე გუნდებზე, მერვე შესარჩევ ჯგუფზე, ისიც ვუთხარით, რომ საქართველოდან, სპორტული გაზეთიდან ვაწუხებდით.*

*მან კი, მეძინებაო.*

*ეძინოს და იყოს, ამით ბევრიც არაფერი მომხდარა. უბრალოდ, საინტერესო იქნებოდა იტალიელთა თავკაცის აზრი.*

*დღევანდელ „სარბიელში" კი ჩვენი მეტოქეების — რუმინეთისა და ლიტვის ნაკრებთა მწვრთნელებთან, ემირიხ ენეისა და სტასის სტანკუსთან მცირე ინტერვიუს გთავაზობთ.*

*ერთიც და მეორეც სიამოვნებით გვესაუბრა... სენიორ ძოფისგან განსხვავებით.*

*მაშ ასე — რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი ემირიხ ენეი:*

## საქართველო მსაჯია



DE BRASOV MONITORUL

ემერიხ ენეი

**— საქართველოში რუმინელებთან მოსალოდნელ ამხანაგურ მატჩზე ლაპარაკობდნენ...**

— ამხანაგური არც ახლაა გამორიცხული. რამდენადაც ვიცი, კვიპროსის ტურნირზე ქართველებიც არიან მიწვეულნი. ვნახოთ, იქ ჩვენც ვითამაშებთ.

**— მერე?**

— უკეთესი იქნებოდა, შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქე სხვა ყოფილიყო.

**— რატომ?**

— ამხანაგური მატჩი ექსპერიმენტების მეტ საშუალებას მოგვცემდა. ახლა კი, გვინდა თუ არა, რაღაც-რაღაცეები უნდა დავმალოთ. ისიცაა, რომ მეხუთე კალათაში საქართველოზე გაცილებით სუსტი გუნდები იყვნენ განთესილი.

**— წილისყრით უკმაყოფილო ხართ?**

— არც კმაყოფილი დავრჩენილვარ. გაწონასწორებული ჯგუფია. შეიძლებოდა, უფრო ძლიერი გუნდები შეგვხვედროდა, ანდა პირიქით მომხდარიყო. თუმც ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჯგუფს ველარ შევცვლით.

**— ვინ გაიმარჯვებს?**

— ან იტალია, ან რუმინეთი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დანარჩენ სამ გუნდზე ოდნავ მაინც ძლიერები ვართ. გამოკვეთილი აუტსაიდერი კი ლიტვაა. დანარჩენები ბალტიისპირელებთან თამაშებისას ქულებს დააგროვებენ.

**— ქართველები და უნგრელები მესამე ადგილისთვის დაჭამენ ერთმანეთს?**

— ასე მგონია, თუმცა ვნახოთ, რომ იცით, ფეხბურთია და პროგნოზების გაკეთება ერთობ ძნელია.

**— ამ ორ გუნდს იტალიისა და რუმინეთის დამარცხების შანსი არა აქვს?**

— შანსი როგორ არა აქვთ, მაგრამ... იცით, ჩემი აზრით, უნგრეთი და საქართველო იტალია — რუმინეთის მატჩის მსაჯის როლს ითამაშებენ, სწორედ მათ შეუძლიათ, ჩვენ ქულები დაგვაკარგინონ. კარგი იქნება, იტალიელებთან ერთხელ მაინც ფრედ თუ ითამაშებთ.

**— რუმინელებს ქართველებმა ეგებ მოუგონ კიდეც...**

— ვნახოთ. კარგი იქნება, სხვანაირად თუ მოხდება.

**— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვეტერანები ნაკრებს დაემშვიდობებიან?**

— ერთის თქმა შემიძლია — პეტრესკუ, პოპესკუ და ჰაჯი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ. მერე კი გააჩნია, როგორ ფორმაში იქნებიან. იქნებ დარჩნენ კიდეც ნაკრებში. ამას შემოდგომაზე უფრო ზუსტად გეტყვით.

## დაუჯერეთ ოგანესიანს!..

— ქართველებს დიდ პატივს ვცემ — *დაიწყო სტასის სტანკუსმა* — საქართველოში ერთი-ორჯერ ვყოფილვარ. დღემდე მახსოვს თბილისი, თან გადამყვნენ მასპინძლები.

**— სასიამოვნოა ამის მოსმენა...**

— მეც მსიამოვნებს ქართველებთან ურთიერთობა.

**— ძალიან კარგი. გუშინდელი წილისყრის კომენტარისთვის გაწუხებთ. რას იტყვით ჩვენს ჯგუფზე?**

— კომენტარი ზედმეტიც არის. ძალიან ძლიერი ჯგუფია. ეს პოლონელებმაც აღნიშნეს, თქვეს, მერვე ჯგუფში აუტსაიდერი არ ჩანს, იტალია რომ იტალიაა, ისინიც გაუთვალისწინებელ ქულებს დაკარგავენო. მეც ასე ვფიქრობ. იოლად ვერც ერთი გამიარჯვებს.

**— იტალია?**

— ალბათ დამეთანხმებით, იტალიელები ძველებური სიძლიერით ვერ დაიკვეხნიან. მათ თამაშს რაღაც აკლია.

**— ჯგუფში ხომ გაიმარჯვებენ და...**

— შეიძლება. რეალურად რომ ვთქვათ, პირველობისთვის სწორედ ისინი და რუმინელები იბრძოლებენ, დანარჩენები მესამე ადგილისთვის. ისე, გააჩნია, რუმინეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შემდეგ როგორ ფორმაში იქნება. მათ თუ თავიდან ქულები დაკარგეს, მერე ძალიან გაუჭირდებათ. დღესდღეობით კი რუმინელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ.

**— უნგრელებზე რას ფიქრობთ?**

— აღმავლობის გზას ადგანან. თამაშის დონეს უმატებენ. კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრებია.

**— საქართველო?**

— პირდაპირ გეტყვით, გაკვირვებული ვარ, ასეთი ფეხბურთელები გყავთ და დღემდე ვერაფერს მიაღწიეთ. იცით, როცა სომხებს 7:0 მოუგეთ, რამდენიმე დღეში ხორენ ოგანესიანს ვესაუბრე. ვერ წარმოიდგენთ მის მდგომარეობას, კაცი ჭკუაზე არ იყო. თავდამსხმელებზე კი, ამისთანა თავდამსხმელები არ მინახავსო.

**— არ აჭარბებთ?**

— ასე რატომ ფიქრობთ?

**— შედეგი ყველაფერზე მეტყველებს.**

— ესეც მართალია. მეც ეგ არ გითხარით? ოგანესიანის სიტყვებში კი ნუ დაეჭვდებით.

**— 7 გოლს რომ გუნდს გაუტან, მწვრთნელი იტყვის ამისთანას, აბა, რას იზამს...**

— ამდენს ხომ გატანა უნდა. სომხებმა რა, თბილისში ეზოს გუნდი ჩამოიყვანეს?

**— მას შემდეგ კაი ხანი გავიდა.**

— ეს ჩემთვის ნუგეში არ არის. კარგად ვიცი ქართველების ამბავი. თქვენებური ფეხბურთელები სულ რომ მოუმზადებლები იყვნენ, მეტოქეებს მაინც უამრავ პრობლემას შეუქმნიან. ლიტველთათვის მუდამ მოუხერხებელი მეტოქე იყო საქართველო. „ჟალგირისის" და „დინამოს" ადრინდელი თამაშები აილეთ. დროდადრო კი ვიგებდით, მაგრამ რის ფასად, ვერ წარმოიდგენთ. თუმც ფეხბურთელებს რომ ქართველებთან თამაში სიამოვნებდათ, ესეც სათქმელია.



LIETUVOS RYTAS

სტასის სტანკუსი

**— რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა თქვა, აუტსაიდერი ლიტვა არისო. თქვენ რას იტყვით?**

— რა ვთქვა? ვიბრძოლებთ და ვნახოთ. ისე, ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენი ოთხივე მეტოქე სამხრეთიდანაა, ოთხივე ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს.

**— გუნდში ვეტერანები კიდევ შემოგრჩათ?**

— მხოლოდ ერთი, ივანაუსკასი. შესარჩევების დაწყებამდე კი საკითხავია, როგორ ფორმაში იქნება. მას გუნდში ადგილი გარანტირებული არა აქვს. უმრავლესობა ჩემს ნაკრებში ახალგაზრდები იქნებიან. აქამდე 21-წლამდელებს ვწვრთნიდი და იმ გუნდიდან ექვს-შვიდ ფეხბურთელს მივიწვევ.

ბობა ინასარიძე

## გოგიჩაიშვილის მომავალი გუნდი ორ კვირაში გაირკვევა



კახი გოგიჩაიშვილი (მარცხნივ) „ლინფილდთან" მატჩისას

მოგეხსენებათ, თბილისის „ლოკომოტივში" ბევრ სხვა ფეხბურთელებთან ერთად ექსდინამოელი კახი გოგიჩაიშვილიც გამოდიოდა. რკინიგზელთა კლუბში გოგიჩა მურთაზ ხურცილავამ მიიწვია და ფეხბურთელმა ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის გარდა, ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან" ორივე საერთაშორისო მატჩშიც მიიღო მონაწილეობა.

სანამ ხურცილავა „ლოკომოტივის" მწვრთნელი გახლდათ, გოგიჩაიშვილი სტაბილურად ხვდებოდა რკინიგზის დეპარტამენტის საშეფო გუნდის ძირითადში. გაათავისუფლეს ხურცილავა და კახიც ძველებურად ხშირად ველარ ეხმარებოდა ლოკომოტიველებს.

გოგიჩაიშვილს „ლოკომოტივთან" ხელშეკრულება წლის ბოლომდე აკავშირებდა. ამჟამად სწორედ წლის ბოლოა და რახან სეზონიც მორჩა, ბუნებრივია, რომ ფეხბურთელი თავის შემდგომ საფეხბურთო ბედზეც ფიქრობს. მთავარი ისაა, რომ კახი ფეხბურთის თამაშის გაგრძელებას აპირებს, ხოლო სად, ამაზე გარკვეულად ვერც გოგიჩაიშვილმა უპასუხა „სარბიელს".

— ყველაფერს ერთ, მაქსიმუმ ორ კვირაში გადავწყვეტ. არც არავინ შემხმიანებია და თავადაც არავისთვის მიმიმართავს. ვერაფერს გეტყვით იმაზეც, დავრჩები თუ არა „ლოკომოტივში". მოკლედ, გაივლის ორი კვირა და ყველაფერი გეცოდინებათ — გარკვეული მექნება ჩემი შემდგომი ბედი.

ამ ხნის (ორი კვირის) განმავლობაში ალბათ ქართული გუნდებიც შეუდგებიან გაზაფხულისთვის მზადებას, ვინაიდან ჯერჯერობით უცხოური ვარიანტი არ უჩანს, ერთ-ერთ მათგანში ალბათ გოგიჩაიშვილსაც ვიხილავთ.

ლუკა თალაკვაძე

ხანმოკლე გამოდგა გიორგი კიკნაძის თურქული ოდისეა. თბილისის „დინამოდან" „სამსუნსფორში" განათხოვრებული ნახევარმცველი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და კარიერის გაგრძელებას, რა თქმა უნდა, საქართველოში არ აპირებს. სამხრეთელი მეზობლებისგან განბილებული კიკნაძე ალბათ ჩრდილოეთს გაეშურება და ვლადიმერ გუცაევის „ალანიაში" ჩაირიცხება. თუმც ვიდრე მოვლენების განვითარებას დავასწრებდეთ, იმაზე ვთქვათ, რაც მოხდა.



## გიორგი კიკნაძე სამხრეთიდან ჩრდილოეთში?

განსაკუთრებული და ახალი არაფერია. თურქული კლუბების მესვეურებთან საქმის დაჭერა იოლია, მაგრამ მოკალით და ხელშეკრულების პუნქტებს ბოლომდე ვერ ასრულებენ, უფრო სწორად კი იმ ნაწილს ვერ იტანენ, რომელშიც ფეხბურთელისადმი გუნდის მოვალეობებზეა ლაპარაკი. მაგალითად, ნორმალურ ქვეყნებში როცა მოთამაშე ტრავმას მიიღებს, კლუბი თავის თავზე იღებს იმის მკურნალობის ხარჯებს და კუთვნილ ხელფასსაც პატიოსნად უხდის. ამას თურქეთზე ნამდვილად ვერ ვიტყვით და ზოგი კიკნაძესაც ჰკითხეთ.

გიორგი კიკნაძე ბოლო ტურის შეხვედრებში „სამსუნსფორის" შემადგენლობაში არ გამოჩენილა. არ იფიქროთ, რომ ჩვენებურმა ძირითადში მოსახვედრ კონკურენციას ვერ გაუძლო. არც ის გაივლოთ გუნებაში, თითქოსდა სამსუნში ორიოდე კვირის წინ თბილისის „დინამოს" დამშამათებელ კიშინიოვის „ზიმბრუს" ნახევარმცველის, ეპურეანუს მიყვანის შემდეგ თურქებმა კიკნაძე აითვალწუნეს. არაფერი მსგავსი. გიორგის ზურგის კუნთი დაეჭიმა და ამ მიზეზით გამოტოვა რამდენიმე მატჩი. „სამსუნსფორმა", ჩვენ მხოლოდ ჯანმრთელ ფეხბურთელებს ვუხდით გასამრჯელოსო და კიკნაძე ბოლო პერიოდში ულიროდ დატოვეს. ბუნებრივია, ასეთი უცნაური დამოკიდებულება ჩვენებურმა ვერ აიტანა და თავს დროზე უშველა.

რაც შეეხება ამჟამად თბილისში მყოფი გიორგი კიკნაძის „ალანიაში" სავარაუდო გადასვლას, ჯერჯერობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ალბათ დადებითად გადაწყდება. თუ გაზაევი ახერხებდა ქართული ფეხბურთელების იოლად გადაბირებას, გუცაევს მით უმეტეს არ გაუჭირდება.

ხვიჩა სანიკიძე

# რა მოხდა ხობში?

„გააავებული ხალხი ბოთლებს, ქვებსა და სხვადასხვა საგნებს ისროდა, ერთი ბოთლი პოლიციის უფროსის მოადგილეს მოხვდა თავში. იქვე ათკაციანმა ჯგუფმა ფეხქვეშ გაიგდო უბედური მსხვერპლი... ღრიალი, გინება, ბოთლების და ქვების სეტყვა...“ — მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარი, ან ჟურნალისტის ფანტაზიის ნახელავი არ გეგონოთ, რეალური ამბავია. ჩვენს პატარა ქალაქ ხობში მომხდარი. კიდევ ერთი ლაქა ისედაც თავლაფდასხმული ქართული ფეხბურთისა, უზნეობისა და ვანდალიზმის მწარე მაგალითი...

ხობი. 28 ნოემბერი. მასპინძლები, საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურის კალენდარულ მატჩში სამტრედიის „იბერიას“ ეთამაშებიან. სტუმართათვის ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გამარჯვების შემთხვევაში „იბერიას“ ზედა ოთხეულში მოხვედრის მშვენიერი შანსი უჩნდება... მატჩი დასასრულს უახლოვდება, გოლი კი არ ჩანს, არადა, ამ დროს რუსთავში „გორდა“ თსუ-ს ამარცხებს, საკმარისია ხობში სტუმრებმა ერთი გოლი გაიტანონ და „იბერიას“ გზა ხსნილი აქვს ოთხეულში, და გოლიც გადის... „ბოლოს მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. თუმცა მავანნი ამბობდნენ, ასე რომ იქნებოდა, ყველამ იცოდაო. მეშკოვმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. აქაოდა, საჯარიმოს კუთხეში, პირით ხაზთან მეტრეველი წააქციეთო. ხობელებმა პროტესტი გამოთქვეს და სამართლიანადაც. პენალტი საკმაოდ საეჭვო, გახლდათ. მაგრამ არბიტრის გადაწყვეტილება საბოლოო იყო. გეგეშიძემ უნაკლოდ შეასრულა თერთმეტმეტრიანი“ — „სარბიელი“, 30 ნოემბერი.

მალე თამაში დამთავრდა და სტადიონზე ჯოჯოხეთიც დატრიალდა... სჯობს, გუშინწინდელ სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის (სტკ) სხდომაზე გადავინაცვლოთ და ამ საკითხის გარჩევის მსვლელობას მივყვეთ.

ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტში დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. სტკ-ს თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი ადიკ დურსუნიშის — აღნიშნული მატჩის დელეგატის მოხსენებით ბარათს კითხულობს: „86-ე წუთზე მსაჯმა მეშკოვმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. იმ მომენტში ერთ-ერთი მაყურებელი არბიტრზე ზემოქმედებას შეეცადა და მოედანზე შეიჭრა. მატჩის ბოლოს კი მსაჯებს ბოთლი და ქვები დაუშინეს ტრიბუნიდან, ისროდნენ სხვადასხვა საგნებსაც. ხობის პოლიციის უფროსის მოადგილეს ნასროლი ბოთლები თავში მოხვდა. ამით გამწარებული პოლიციის ჩინოსანი გასახდელში მიმავალ მეშკოვს მისდგა — შენი გულისთვის მომხვდა ბოთლიო და უმოწყალოდ დაუწყო ცემა. არბიტრს სხვებმაც არ დააკლეს და მალე მეშკოვი ფეხქვეშ გაიგდეს. მსაჯებმა რისვაივაგლახით მიაღწიეს გასახდელს, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდათ. გასახდელთან პოლიციელებმა მოიყარეს თავი და კვლავ გამეტებით დაუწყეს მსაჯს ცემა. ერთ-ერთი მათგანი აცხადებდა საგადასახადო ინსპექციიდან ვარო...“

ნაწყვეტი ალექსანდრე მეშკოვის მოხსენებითი ბარათიდან: „...როგორც იქნა, გასახდელში შევედი და სასწრაფოდ საშხაპეში დავიმალე. როგორღაც ტანსაცმლის გამოცვლაც მოვახერხე, ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც გასახდელში დავბრუნდი, იქ ისევ პოლიციელები დამხვდნენ...“

ისევ მოხსენებითი ბარათი. მალხაზ ლაცაბიძე — მატჩის კომისარი: „გასახდელში რომ შევედით, ათი წუთის შემდეგ კარებზე დააკაკუნეს. პოლიციიდან ვართ, არაფერს გერჩით კარი გაგვიღეთო, გვითხრეს. ოთახში რამდენიმე კაცი შემოვიდა. უშვერი სიტყვებით გვაგინებდნენ ყველას, მსაჯებს, კომისრებს, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ სფფ-ს ჩინოვნიკებს. გარწმუნებთ, მათ დიდი სიძულვილი აქვთ თბილისელებისადმი...“ აქ კი მართლაც რომ გაქცევია კალამი ბატონ კომისარს. მის მოხსენებით ბარათში ამ ეპიზოდის ჩაკითხვისას მიუთითა კიდეც ომარ გოგაშვილმა ლაცაბიძეს, ქართველთა ურთიერთსიძულვილის მტკიცებას, ჯობდა, საქმეზე დაგეწერათო. ნამდვილად მასე იყო, საოცრად სძულთ თბილისელებიო. არ დათმო პოზიციები ლაცაბიძემ და იქვე დაამატა, თქვენ არ იცით, იქ რა მდგომარეობაში ვიყავით, რა სიტყვებით გვლანძღავდნენ, როგორ გვამცირებდნენ, ამის აღწერა შეუძლებელიაო.

მეშკოვის მოხსენებითი ბარათის დასასრული: „პოლიციელებმა ბოლოს მუქარის ქვეშ დამაწერინეს მათი აზრით ჩემი შეცდომები: 1. თამაშის 39-ე წუთზე ხობელთა კარში უნდა დანიშნულიყო პენალტი; 2. უხეში თამაშისთვის უნდა გამეძევებინა სტუმართა მეკარე; 3. 86-ე წუთზე დავნიშნე საეჭვო პენალტი, რომლის გამოც დამარცხდა მასპინძელთა გუნდი.

ამ მოთხოვნის შესრულებიდან საათნახევრის შემდეგ სტადიონიდან გამოვაღწიეთ. გთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოთ გადამჭრელი ზომები, თორემ უარს ვაცხადებ ჩემპიონატის მომსახურეობაზე.“

ქალაქ თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის საექიმო ცნობა: „ალექსანდრე მეშკოვს აღენიშნება თავის ტვინის შერყევა, დაჟეჟილობა და სისხლჩაქცევები...“

ექიმებმა მეშკოვს 21-დღიანი წოლითი რეჟიმი გამოუწერეს...

როგორი იყო სტკ-ზე დისციპლინართა რეაქცია? ომარ გოგიაშვილი — უპრეცედენტო, გამაოგნებელი ფაქტის წინაშე ვდგავართ. ის პოლიცია, რომელიც წესით და რიგით ჩვენ უნდა გვიცავდეს, აქეთ ჩადის საშინელ საქმეს. მეტიც, მე ამას ვანდალიზმს ვუწოდებ. ეს კრიმინალია, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ. აუცილებლად ჩავაყენებ საქმის კურსში შინაგან საქმეთა მინისტრს, მთელ რიგ ძალოვან სტრუქტურებს, რომ დამჭირდეს, პრეზიდენტთანაც შევალ.

ანგული მიქავაც, კლუბის პრეზიდენტი და ამავე დროს ხობის გამგებელი, ძირეულად აპირებს ამ საქმის შესწავლას. მეტიც, მას უკვე ჩაუყენებია საქმის კურსში საოლქო პროკურატურა და ამავე დროს გენერალური პროკურორის მოადგილეც. — ამ საქმის დატოვებას ასე არ ვაპირებ, გარწმუნებთ, ულირსნი სათანადოდ დაისჯებიან, მაგრამ ერთი რამ კიდევ გასარკვევია. საჭიროა, გამოვააშკარავოთ ის ძირეული მიზეზები, რომლებმაც ამ უმსგავსო ფაქტამდე მიგვიყვანა.“

პრეზიდენტის ნათქვამი „ხობის“ გუნდის უფროსმა პაატა თათარაშვილმა განავრცო: — თუ ფეხბურთი გვინდა, მას მსაჯიც, ფეხბურთელებიც და დელეგატიც თანაბრად უნდა ედგას გვერდით. მრცხვენია, რომ ჩემს ქალაქში ასეთი რამ მოხდა, მაგრამ იმაზეც დავფიქრდეთ, რამ მიიყვანა ხალხი ამ მდგომარეობამდე. ვეჭვობ, რომ „ხობის“ წინააღმდეგ და „იბერიის“ სასარგებლოდ რაღაც კომბინაცია გათამაშდა. სამწუხაროდ, ვერ შევძელით მატჩის ვიდეოფირის ჩამოტანა, რადგან იგი პროკურატურამ ამოიღო. იმ ფირზე აშკარად ჩანს, რომ მეტრეველს კაციშვილი არ ეხება, ისე წვება საჯარიმოში. პენალტი გამოგონილი იყო. ერთ ეპიზოდში ჩიტაია დარჩა მეკარესთან პირისპირ. სტუმართა კარის დარაჯმა მოცელა ჩვენი ფეხბურთელი. გეკითხებით, არ არის ეს ბოლო იმედის ჯარიმა? რატომ არ აჩვენა მეშკოვმა მას წითელი ბარათი?

თამაში მთავრდებოდა და სამტრედიელთა მეკარემ თანაგუნდელებს დაუყვირა, მიაწექით, რუსთავი იგებსო. წუთის შემდეგ მეშკოვმა ის გამოგონილი პენალტიც დადო... ნუ გეწყინებათ ბიჭებო — ფედერაციის თანამშრომლებს მიუბრუნდა თათარაშვილი — თქვენც დამნაშავენი ხართ. ამას წინათაც მოხდა ხობში გაუგებრობა, არ შეგეძლოთ, თბილისიდან რეკვას, ადგილზე ჩამოსულიყავით, შეგესწავლათ სიტუაცია, შეხვედროდით გუნდს, ქალაქის ხელმძღვანელებს, თორემ რა გამოდის? დარეკავთ ხობში, გვეტყვით, ჩამოდით სტკ-ზეო, ჩვენ კი ჩამოვალთ, მაგრამ ასე არ კეთდება საქმე.

გუშინწინ სტკ-ს გადაწყვეტილება არ მიუღია. ომარ გოგიაშვილმა და სხვა დისციპლინარებმა ანგული მიქავას მოსაზრება გაიზიარეს — პრობლემას ძირეულად ჩავუღრმავდეთ და ისე გადავწყვიტოთო.

აი, ასე, რა შეუძლიათ დისციპლინარებს? სავარაუდოდ დისკვალიფიკაციას მისცემენ ხობის სტადიონს, გუნდი ხომ არაფერ შუაშია, ის კი არა, ხობელი ფეხბურთელები ვაჟკაცურად გარჯილან და შუაში ჩასდგომიან გავეშებულ ბრბოს. კი, ბატონო, არ ითამაშებს „ხობი“ ხობში, აქა-იქ შესაძლოა პოლიციელთა პაგონებიც გადაყვეს ამ სკანდალს, მაგრამ ამით რა? ფაქტია, რომ ჯერჯერობით გაფუჭებული საქმის გამოსწორების არანაირი გზა არ ჩანს — კვლავაც დაღმა მიექანება ქართული ფეხბურთი და, მგონი, გამხეცებული ხობელი პოლიციელების ხელში ჩავარდნილ მეშკოვზე უარეს დღეშია, გაცილებით უარეს დღეში...

**პაატა ქვანტალიანი**



მამუკა დარჩიას ფოტო

# დარასელიას მესამეც გაიტანა

რ**ოგორც** ჩანს, ისრაელში საბოლოოდ გამოავლინა თავი გიორგი დარასელიამ, რომელიც იქაური მთავარი ლიგის აუტსაიდერის, ქვარ სავას „ჰაპოელის“ ღირსებას იცავს. გუშინწინ ეს გუნდი მე-14 ტურის მატჩის გასამართად ფეთაჰთიკვას „მაკაბის“ ესტუმრა და 2:3 წააგო. გიორგიმ მთელი შეხვედრა ჩაატარა და 25-ე წუთზე, როდესაც „მაკაბი“ 2:0-ს იგებდა, ერთი გოლიც გაიტანა. თუმცა გარდატეხა არ მოხდა. „ჰაპოელი“ დამარცხდა და კვლავ ბოლო ადგილზე დარჩა. დარასელიასთვის ეს მესამე გოლია მიმდინარე სეზონში. ჟურიამ მას 5,5 დაუწერა. ძუკუმ წინა ტურშიც გაიტანა, მაშინ ქართველმა ლეგიონერმა 7,0 ბალი მიიღო. ეს ტური გოგა გახოკიძის ჰაიფას „მაკაბიმ“ გამოტოვა.

**სიმონ მენაბდე**

# დიალოგი აქტუალურ თემაზე



დიეგო მარადონა

ეეე, ასე შორს ვერ წავალთ, ძმაო და შვილო. მარადონა ჩამოდისო, ჯერ აიკლეს ყველაფერი და ახლა როგორ მიჩუმდნენ? როგორ ფიქრობ, მისაჩუმათებელი ამბავია?

ამას წინათ ტყუილებზე გელაპარაკე და იმ ტყუილის კუბო დავდგი, ასე მოკლე ფეხები რომ ექნება. ბიჭო და კაცო, თუ ტყუილის თქმას ფიქრობ, ადექი და ისეთი თქვი, ორი დღით მაინც დააჯერო ადამიანი და თუ ატყობ, არ დაგიჯერებენ და ნამეტანი მოგდის, იჯექი შენთვის წყნარად, ნერვების შლა აკლია ამ ისედაც ნერვებმოფუტკნულ ხალხს?

მარადონას ხსენებაზე, გენაცვალე, ოდეკოლონი გამოივლოს პირში ბარე ორმა. დალოცვილებო, მარადონა არძინბა ხომ არაა, ვინმემ ხელი დაუტკაცუნოს და თბილისში ყურით ჩამოაბრძანოს (მერე, არძინბასა და მარადონას აქ ვითომ ჩამომყვანს შორის ნამდვილად არის პატარა განსხვავება).

კი მიკვირდა, არაფერს რომ არ ამბობდით. გიკვირდათ, არ გჯეროდათ ხომ, ჩემი არ იყოს?! ჰო, წამოეგო ერთი-ორი ამ ბლეფზე და ჭორიკანა ხალხის ნათქვამზე, მაგრამ არც ეგენია გასაკიცხი დიდად. ყოველთვის იმას იჯერებ ადვილად, რის დაჯერებაც გინდა და მარადონას თბილისში ჩამოსვლაზე უკეთესს რას დაიჯერებდა კაცი?

დიდია, ძმაო და შვილო, ნამეტანი დიდი. ფეხბურთისთვის ხომ დიდია, ისედაც დიდია. თქვენი არ ვიცი და, იმ ბობოლა ბაბუას რომ ხელი არ ჩამოართვა, კაკალ გულში ჩამიჯდა, მაგის ფეხბურთს და სახელს ვენაცვალე. ის ავტომაგნატი და ფულის ტომარა, დოქტორ ჟოა თუ წკვარამი რომ ერქვა, დიდი ღვთის გარეგანი ვინმე იყო — ხომ გახსოვს, ყველაფერი იკადრა, ბრაზილია ჩემპიონი რომ გამხდარიყო და როცა საქმე ბრაზილიის ჩემპიონობას ეხება, წარმოშობით, ჯიგრით და მეობით ბრაზილიელი კაცი მარადონას დაგიდევს? ფეხებზე არ ჰკიდია მისი ნახევარღმერთობა?

ფუჰ, თანამედროვე ფეხბურთს რა ვუთხარი, კაცს რომ შიშით ვერ მოუშარდავს, ფეხბურთი და საქმეა ეს? ანდა, რად უნდა ფეხბურთს დოპინგი. კი, კი, არ გეკამათები — ვინც სირბილის მეტი არაფერი იცის და ფეხბურთი სირბილი ჰგონია, დოპინგი უნდა კი არა, ნიჩბით უნდა აყარო სტიმულატორები, მაგრამ მარადონას ფეხბურთი წამლებმა ასწავლესო — მაჩვენე ამის მთქმელი კაცი და პირველივე სტადიონზე გავუთხრი სამარეს, დასტურ გეუბნები.

ამაზე ლაპარაკს მოვრჩეთ და დასასრულისთვის ამას გეტყვი (ადრეც მითქვამს ეს შინაურ ხალხში) — მარადონას და ანჯელო დი ლივიოს შარდი ერთ ადგილას შესამოწმებელია?

ყისმათი გინდა კაცს — ნებისმიერ საქმეში და ფეხბურთში განსაკუთრებით. ხან იღბალი გიშლის ხელს, ხან კაცი და მარადონას მთელი კარიერა ბედისწერისა და ცუდი კაცების გავლენის ქვეშ არ მოექცა?! რამდენი ვინმეს ის თეთრი ფხვნილი შეესუნთქოს მარადონას მოკიჟინეთაგან, იმდენი ევროტიტული ჩვენს გუნდებს... არა, ის როგორ წამოაყვედრეს, ქალებში გაეჩვია ნამეტანიო? გაეჩვეოდა, კაცო, რავა, კასტრირებული კი არ იყო. თუ მაინცდამაინც, კასტრირებული ის თქვენი შავი პელეა. სპეციალური ოპერაცია რომ გაიკეთა ნიუ იორკში, არიქა, ვინმესთან „ლევი“ შვილი არ მეყოლოსო...

მარა ბედი უნდა ყველაფერს — წელანაც გითხარი.

ჰო, მარადონას თბილისში ჩამოყვანით დავიწყე და სად გადავეშვი, ხედავ? არ მეთქვა, არც ეს შემეძლო და ჩემი ხნის კაცი ლაპარაკს რომ დაიწყებს, მერე ცოტა მუხრუჭიც რომ გაუჭირდება, გინდა შენ ამის ახსნა?

იმ კაცსაც დაანებეთ თავი. არც კაი უთხრათ, არც გლახა. მისიც ეყოფა, რავარი საქმეა, ქვეყნას ნახევარღმერთის ჩამოყვანას რომ დაპირდები და ჰაერზე ლაპარაკი გამოგივა. ეტყობა, ადრეა, ჩვენთვის და ჩვენი ფეხბურთისთვის მარადონას დარი სტუმრები...

მერე ერთი წამით ამაზეც დავფიქრდი — მარადონას რომ თბილისში ჩამოიყვან, ბალახი მაინც ხომ უნდა ანახო ისეთი, ზედ ბურთის გაგორებას რომ მოახერხებს. რა, ეროვნული სტადიონის საფარი გვივარგა? მეტი არაა ჩემი მტერი. ვნახე ამას წინათ და არ ვაჭარბებ — ჯერ შემეკუმშა გული მისი საცოდაობით და მერე გამიჩერდა კინაღამ მთლად.

ასეთია, შვილო, ქომაგის საქმე — ხან სიხარულით გისკდება გული, ხან მწუხარებით. თუ გულშემატკივარი და ფეხბურთის ერთგული კაცი გქვია, ერთსაც უნდა გაუძლო და მეორესაც, არაა სხვა საშველი.

მე რა, მოხუცი კი ვარ, მაგრამ მეც ქომაგი არ ვარ? რომ ჩამოსულიყო მარადონა, იმ სიხარულსაც გავუძლებდი და რახან ვერ ჩამოვიდა, თავს ხომ ვერ მოვიკლავ ახლა?!

**ბათუმი** «ა» ზონა მეორე ადგილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი — I ეტაპი

# ბრავისიმო, თქვენო უბუბლიკებულესობავ!



ჯანი კარნევალე

ერთი აჭარული სიმღერის ტექსტი მინდა შეგახსენოთ — ბათუმში ჩამოვბლაყუნდიიო — მღერის აჭარელი ბიჭი ალმასხანა და რახან ბათუმში ჩამობლაყუნდა, უეჭველია, განდაგანასაც ისწავლიდა.

ბათუმში ალმასხანის გარდა ერთი იტალიელი სინიორიც... ჩამობლაყუნდა რა სათქმელია, ჩამობლაყუნდა კი არა, სულ „ეარ ჯორჯია" — „აირ ზენა" — „საქართველოს ავიახაზებით" გვეახლა ჭარმაგი დონ კარნევალე და იმდენი ბუბლიკი ჩამოგვიტანა... თუმცა, ბუბლიკებზე მერე,

მანამდე კი მოდით და მადლი ვუძღვნათ ბათუმში იტალიელი სპეციალისტის ჩამომყვანს — ჯანი კარნევალე მოუხდა ქართულ ფეხბურთს. მის მწვრთნელობას რაც შეეხება, ბევრს არ გავაჭრელებთ — ზოგიერთივით ტყემალზე არ ზის და ბალს არ შეექცევა. იცის თავისი საქმე სათვალეებიანმა „იტალიანომ".

ჰოდა, ძალიანაც კარგი თუ თავის საქმეს უვლის. აბა, განდაგანას ცეკვას ხომ არ მოვთხოვთ მართლა. — ჩემპიონიც შეიძლება გავხდეო — ამასაც იმუქრება სინიორ ჯანი — იო მოდო, ლა კოზა, ბრავისიმო, დონ ჯანი, ბრავისიმო!

ახლა კი „ბათუმის" აღმართ-დაღმართებზეც და ბუბლიკებზეც... ოღონდ ბუბლიკებზე მერე.

„ბათუმი" ამბიციური გუნდია. „ბათუმი" სათასო გუნდია. „ბათუმი" ის გუნდია, ვინც დიდი ანგარიშით თითქმის არასდროს აგებს (თვით „დინამოსთანაც" კი), ჰოდა, თუკი რაგბში „დათვები" (ბათუმი!) გაჩემპიონდნენ... თუკი კალათბურთში „ბასკო" (ბათუმი!!) უპირველესი ფავორიტია...

„ბათუმი" ვისზე რა ნაკლებია? ხომ შეიძლება, მათაც იფიქრონ ჩემპიონობაზე?

შეიძლება და მერე როგორ. რა, ბევრი დაიკვეხნის „დინამოს" დამმარცხებლის მანტიით? რა, ბევრი დაიკვეხნის თოთხმეტ მატჩში ოთხადოთხი გოლის გაშვებას? ახლა უშუალო კონკურენტები როგორი ანგარიშებით დაიბრიყვეს? ასე რომ, ფრთხილად, როცა წინ „ბათუმია".

კარგია, რომ კარნევალემ გუნდის გაახალგაზრდავებაზე აიღო აქცენტი. ისიც მშვენიერია, რომ არც ძველ და საჭირო ხალხს ივიწყებენ ბათუმელები — მალხაზ მახარაძე, ალექსანდრე კანტიძე, პაატა მაჭუტაძე... ხალხია და რა ხალხი.

ყველაზე უკეთესი კი ის გახლავთ, რომ მწვრთნელმა ახალგაზრდებისა და ძველი თაობის ფეხბურთელთა შეხამება მოახერხა. ახლა ამ ახალგაზრდებსა და ძველებს „დინამოდან" „ბათუმში" დაბრუნებულებიც (ტულუში, მუჯირი) დაუმატეთ, ზედაც ნიკა ტოგონიძის სტაბილურობა და მიდი და გაიკვირვე ამის მერე, რა ცოტა ბურთს უშვებს „ბათუმიო"...

სტარტი მშვენიერი ჰქონდათ ბათუმლებს. „დინამოსთან" 1:0 გამარჯვებამ სეზონის განმავლობაში რიხიანი განწყობისთვის მშვენიერი წინაპირობა შექმნა. არც მერე შეურცხვენიათ თავი კარნევალეს შეგირდებს, მაგრამ ის, პირველი სულ სხვა იყო...

თუკი გუნდის შედეგს და გამოსვლას ორ ეტაპად — პირველი და მეორე წრის მიხედვით დავყოფთ, მეტად განსხვავებულ სურათთან გვექნება საქმე — პირველ წრეში აჭარული გუნდი ნელ-ნელა ემსგავსებოდა იმას, რაც მეორე წრეში უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ წაგება რაა, ისიც არ უწვნევიათ ბათუმლებს, პირველ წრეში მათი თამაშის დონე, მაინც შორს იყო სასურველიდან. ამ შვიდი თამაშის განმავლობაში შთაბეჭდილება ცალსახა ჩანდა — გუნდმა კარგად ისწავლა (ან სწავლობდა) საკუთარი კარის დაცვას, მაგრამ უჭირდა სხვისი კარის აღება და თუკი იტალიელი მწვრთნელის ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, აუცილებლად გამჩნდებოდა ბათუმშიც და სხვაგანაც ვინმე ალმასხანის მაგვარი და ამას იტყოდა — შეუბერა იტალიური, რა ამბავია ამდენი 0:0-იო.

მაგრამ ალმასხანამ არ იცის და ჩვენ ხომ ვიცით, გუნდის შენება დროის საქმეა და გვარიანი დროისაც. ერთ და ორ დღეში (თვეშიც!) გუნდს კარნევალე ვერაფრით ააშენებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კარნევალე კარნევალეა და არა ქრისტე-ღმერთი.

შვიდ მატჩში ორი გამარჯვება და ხუთი ფრე, სამი გატანილი და ერთი მიღებული ბურთიც ამ შენების მიზეზის მორიგი დასტურია.

მართალია, პირველისგან განსხვავებით მეორე წრე წაგებით დაიწყეს კარნევალემ და კომპანიამ, მაგრამ გუნდი, რომელმაც მათ მოუგო „დინამო" იყო და ამდენად ამ მარცხს მოულოდნელად, სენსაციად, ანაც კატასტროფად არავინ ჩათვლიდა. მით უმეტეს, მომდევნო ტურშივე ბათუმელებმა წაგებას მოგებით უპასუხეს და პირველად მეთერთმეტე ეროვნულში ერთბაშად ორი გოლი გაიტანეს (ყურადღებით, მანამდე მხოლოდ სამი ჰქონდა გატანილი).

ბუნებრივია, ჯანი კარნევალე „დინამოსთან" წაგებამ გაანაწყენა, მით უმეტეს, რომ ხსენებული შეხვედრის ბოლო წუთები მთლიანად მისი გუნდისა იყო, მაგრამ განაწყენება და გაცოფება მაშინ გენახათ, როცა მეთორმეტე ტურში აუტსაიდერ წყალტუბოსთან მორიგი 0:0 „გაახერხეს" მისმა შეგირდებმა. ცას სწვდებოდა იტალიელი სპეციალისტის აღშფოთებული სულის კივილი.

უნდა ეყვირა და ეკივლა, არ შეიძლებოდა სხვანაირად — „ა" ზონაში იმ დროისთვის ქულა-ქულა ერთბაშად ოთხი გუნდი („ვიტ ჯორჯია", „სიონი", „ლოკომოტივი" და იგივე „ბათუმი") მიდიოდა და ყოველი დაკარგული ქულა თითქმის საუკეთესო ოთხეულში ვერმოხვედრის ტოლფასი იყო. გასაგებია, რომ ამგვარ სიტუაციაში აუტსაიდერ „სამგურალთან" (მერე რა, რომ წყალტუბოში) ფრე გააცოფებდა იტალიელს.

და მაინც, სხვებზე იოლას გავიდა „ბათუმი". კონკურენტთაგან განსხვავებით, „ბათუმის" საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა ერთი წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. ბოლო ორ — მეცამეტე და მეთოთხმეტე ტურში ორჯერ ზედიზედ მოიგეს ზღვისპირელებმა, ერთბაშად ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს „სიონს" და „არსენალს" და ორი წრის შემდეგ პატიოსნად დამკვიდრდნენ ზონის მეორე საფეხურზე თბილისის „დინამოს" შემდეგ.

აი, დაახლოებით ასეთია „ბათუმის" საამჩემპიონატო ბატალიები. ახლა კი თვითონ გუნდზე და მის რგოლებზე.

გუნდზე უკვე ვთქვით კიდეც — მასში ახალგაზრდები — აფხაზავა, კობიძე, რომანაძე, თედორაძე ვეტერანია მხარდამხარ ირჯებოდნენ და ამან მშვენიერი ნაყოფიც გამოიღო (იხილეთ საბოლოო ცხრილი), რგოლებს რაც შეეხება, აქ მეკარემ და დაცვამ თავის თავს და ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს, თოთხმეტ შეხვედრაში გაშვებული ოთხადოთხი ბურთი სწორედაც რომ გასაკვირველი ამბავია — ასეთ შედეგზე ნებისმიერი გუნდი მოაწერს ხელს.

როდესაც დაცვის სიძლიერეზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ნახევარმცველთა ამაგის უარყოფა — მეტოქის შეტევებს ხომ შუახაზის მოთამაშეები ხვდებიან პირველნი. „ბათუმის" ნახევარმცველები — მუჯირი, კობიძე, ქორიძე, ტულუში პირველები შლიდნენ მეტოქის შეტევას, პირველები იწყებდნენ თავისას და არცთუ იშვიათად გოლებიც გაჰქონდათ.

გოლები, რომლებიც არცთუ მრავლად მოუგროვდათ ზღვისპირელებს — თოთხმეტ თამაშში თხუთმეტი ბურთი სწორედაც რომ ცოტაა ზონის ერთ-ერთი ლიდერისთვის. იმედი ვიქონიოთ, იტალიელი მაესტრო ყურადღებას მიაქცევს ამ მინუსს და გუნდს გოლეადორულ ალღოს განუმტკიცებს.

ახლა კი დაპირებულ ბუბლიკებზე. ბუბლიკები სხვა არაფერია, თუ არა ის ნოლები, რომელიც აჭარულ გუნდს მოსჭარბნია ამ სეზონში — ექვსი 0:0 თოთხმეტ თამაშში მართლაც ძალიან ბევრია.

ასე რომ, გოლებიც, გოლებიც მოსთხოვეთ ფეხბურთელებს, სინიორ ჯანი, თქვენო უბუბლიკებულესობავ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ბათუმელთა გოლეადორი პაატა მაჭუტაძე ვიტჯორჯიელ გიორგი ყიფიანს გაექცა

### პირველი ეტაპის შედეგები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 1:0 | შ | კობიძე |
| 2 | თბილისი | 1:1 | ს | მაჭუტაძე |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 0:0 | შ | |
| 4 | ლოკომოტივი | 0:0 | ს | |
| 5 | სამგურალი | 0:0 | შ | |
| 6 | სიონი | 0:0 | ს | |
| 7 | არსენალი | 1:0 | შ | მუჯირი |
| 8 | დინამო | 1:2 | ს | გადელია |
| 9 | თბილისი | 2:0 | შ | აფხაზავა, მაჭუტაძე |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 0:0 | ს | |
| 11 | ლოკომოტივი | 4:1 | შ | მუჯირი 2, ქორიძე, რომანაძე |
| 12 | სამგურალი | 0:0 | ს | |
| 13 | სიონი | 4:0 | შ | აფხაზავა 2, მაჭუტაძე, მუჯირი |
| 14 | არსენალი | 1:0 | ს | აფხაზავა |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ნიკოლოზ ტოგონიძე | 14 | -4 | 0 | 0 |
| გელა ქორიძე | 14 | 1 | 2 | 0 |
| თემურ ტულუში | 14 | 0 | 0 | 0 |
| კახა კობიძე | 14 | 1 | 0 | 0 |
| არჩილ რომანაძე | 13 | 1 | 1 | 0 |
| პაატა მაჭუტაძე | 13 | 3 | 1 | 0 |
| ზურაბ არჩვაძე | 13 | 0 | 5 | 0 |
| მალხაზ მახარაძე | 13 | 0 | 1 | 0 |
| ამირან მუჯირი | 12 | 4 | 0 | 0 |
| შალვა აფხაზავა | 11 | 4 | 0 | 0 |
| თემურ გადელია | 11 | 1 | 0 | 0 |
| ივანე მახარაძე | 10 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად პაპიძე | 10 | 0 | 1 | 1 |
| ზურაბ მინდაძე | 9 | 0 | 0 | 0 |
| კახა ქაცარავა | 6 | 0 | 1 | 0 |
| შალვა ხუჯაძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| ბესიკ თედორაძე | 5 | 0 | 0 | 0 |
| ალეკო კანტიძე | 4 | 0 | 1 | 0 |
| კახა სიხარულიძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| უჩე უვაკვე | 2 | 0 | 0 | 0 |




თ - თამაში; გ - გოლი; ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 14 | 11 | 1 | 2 | 38:12 | 26 | 34 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:6 | 18 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:6 | 8 | 15 |
| 2 | ბათუმი | 14 | 6 | 7 | 1 | 15:4 | 11 | 25 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:1 | 11 | 17 | 7 | 1 | 5 | 1 | 3:3 | 0 | 8 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 14 | 6 | 5 | 3 | 20:12 | 8 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 9 |
| 4 | სიონი | 14 | 6 | 3 | 5 | 13:19 | -6 | 21 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 12 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:14 | -8 | 9 |
| 5 | ლოკომოტივი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:19 | 2 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 7 | 3 | 0 | 4 | 13:12 | 1 | 9 |
| 6 | თბილისი | 14 | 3 | 4 | 7 | 21:31 | -10 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 14:19 | -5 | 10 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:12 | -5 | 3 |
| 7 | სამგურალი | 14 | 3 | 2 | 9 | 9:27 | -18 | 11 | 7 | 3 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 10 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:21 | -16 | 1 |
| 8 | არსენალი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:23 | -13 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |

### მეორე ეტაპი

I-VIII ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| 2 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| 3 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 4 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| 6 | სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| 7 | დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| 8 | იბერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |

### ფეხბურთის რუბრიკასთან



**ინგლისის** პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ნოტინგემ ფორესტის“ თავკაც დევიდ პლატს უკანასკნელი ვადა მისცეს, რათა გუნდი კრიზისიდან გამოიყვანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაათავისუფლებენ. „ნოტინგემი“ კრიზისს აშკარად განიცდის. შარშან პრემიერლიგაში მოასპარეზე გუნდი ახლა პირველ დივიზიონში გასავარდნ ზონაში იმყოფება. ამჟამად გუნდს არავითარი ფინანსური საშუალება არ აქვს ახალი ფეხბურთელების შესაძენად. წარუმატებლობის გამო ქომაგებმაც აიყარეს გული, სტადიონზე აღარ დადიან. ამის შესახებ თავად პლატმა განაცხადა: „იმას ვერ დაგპირდებით, რომ ამ მოკლე დროში გულშემატკივრებს სტადიონზე მოვიზიდავ, თუმცა ვთვლი, რომ საბოლოოდ წარმატებას მივაღწევთ.“

**ფრანგ** ნიკოლა ანელკას, მადრიდის „რეალის“ ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელს, კლუბის ახალი მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკესთანაც შეექმნა პრობლემები. თავკაცი მას არც მეტი, არც ნაკლები, უქნარობაში ადანაშაულებს. სამეფო კლუბის უკანასკნელ შეხვედრაში, რომელიც გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ნორვეგიულ „რუსენბორგთან“ გამართა, დელ ბოსკე ანელკას მინდორზე შეცვლაზე შეშვებას აპირებდა, ეს უკანასკნელი კი ერთობ ნელ-ნელა შეუდგა მოთელვას. კითხვაზე, თუ როგორ ესახება ანელკას მომავალი „რეალში“, დელ ბოსკემ მხრები აიჩეჩა და დუმილი არჩია.

**იტალიურმა** პოლიციამ რომის აეროპორტში ინგლისელი გულშემატკივრები დააკავა, რომელთაც ბარგში 10 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება — ჰაშიში უპოვა. ისინი ლონდონის „ჩელსის“ ფანები იყვნენ და გუნდს რომში ადგილობრივი „ლაციოს“ წინააღმდეგ საქომაგოდ ჩაჰყვნენ. მატჩი ამ ორ კლუბს შორის როგორც გახსოვთ, სამშაბათს იტალიის დედაქალაქში გაიმართა.

## ბრაზილია

### ნახევარფინალი
### III მატჩი

**ვიტორია 0:3 ატლეტიკო მინ. (0:3) (2:1)**

ბრაზილიის ჩემპიონის გამოსავლენად ფინალის ჩატარებაა საჭირო.

ერთი ფინალისტის ვინაობა ადრევე გაირკვა. ის ამჟამინდელი ჩემპიონი „კორინთიანსია“. მეორე წყვილს ურთიერთობის გასარკვევად მესამე მატჩის გამართვა დასჭირდა (ბრაზილიაში თუ რომელიმე გუნდი პირველი ორი თამაშიდან ორივეს ვერ მოიგებს, კიდევ ერთი შეხვედრა ინიშნება).

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ტონინიო სერეზო „ატლეტიკოს“ მწვრთნელის რანგში პირველ სეზონს ატარებს. მას დანიშვნისთანავე უთქვამს, ჩემი ოცნება ბრაზილიის ჩემპიონობააო. სერეზოს გუნდს მიზანთან ერთი ნაბიჯიღა აშორებს, ატლეტიკოელ გილიერმოს ბომბარდირობაში ვერავინ შეეცილება. ამ შეხვედრაში მარკესის ერთ გოლს გილიერმომ ორიც დაუმატა და სეზონში ოცდახუთი გატანილი ბურთი დაუგროვდა.

ახლა „ატლეტიკო“ და „კორინთიანსი“ სამმატჩიან ფინალში გაარკვევენ ჩემპიონის ვინაობას. პირველი თამაში კვირას გაიმართება.

ამასობაში, ჩემპიონატს გამოთიშული გუნდებიც არ სხედან გულხელდაკრეფილნი. ისინი ძველ მწვრთნელებს ათავისუფლებენ და ახლებს ეძებენ. ამ პროცესს ბრაზილიაში რატომღაც „მენეჯერთა ცეკვას“ ეძახიან.

მას შემდეგ, რაც კონტინენტის ყოფილი ჩემპიონი „გრემიო“ რვა საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა, მწვრთნელი კლაუდიო დურატე მოხსნეს.

საინტერესოა „ინტერნასიონალის“ ამბავიც. კლუბმა ხუთ თვეში სამი მწვრთნელი გამოიცვალა. აქ ჯერ პაულუ ატუორი მუშაობდა, რომელიც „სანტოსიდან“ გადავიდა. მისი გაგდების შემდეგ „ჟუვენტუდედან“ ვალმირ ლურუზი მოიწვიეს. საბოლოოდ ის ყოფილმა მეკარემ ემერსონ ლეაომ შეცვალა.

ერთი სიტყვით, ბრაზილიურ კლუბებში მწვრთნელთა გადაადგილებები ელვის სისწრაფით ხდება. ქვეყანაში ხუმრობენ, კლუბი მწვრთნელს რომ იწვევს, მისი შემცვლელი უკვე მზად ჰყავსო.

## ესპანეთი

**ალავესი 2:1 რასინგი**

1:0 კარმონა (8), 1:1 სალვა (49), 2:1 ხულიო სალინასი (88პ)

ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, ტელიესი, კარმონა, კონტრა, პაბლო, დესიო, მოლარესი (ბერუეტი 46), ხავი მორენო, კოდრო (მაგნო 46, ხულიო სალინასი 63), ასტუდილიო

რასინგი: სებალიოსი, სიეტესი (რუშფელტი 89), არსენო, მელბერგი, ვივარ დორალესი, ესპინია (ნერუ 75), ისმაელი, მანხარინი, სალვა, ამავისკა, მუნიტისი (ბესჩასტნიხი 75)

გაფრთხილება: ისმაელი, ტელიესი, მუნიტისი, სიეტესი

მსაჯი: ხაპონ სევილია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 14 | 9 | 3 | 2 | 30:17 | 30 |
| სელტა | 14 | 9 | 0 | 5 | 21:15 | 27 |
| სარაგოსა | 14 | 7 | 4 | 3 | 25:12 | 25 |
| ბარსელონა | 14 | 7 | 2 | 5 | 31:21 | 23 |
| რაიო | 14 | 7 | 1 | 6 | 20:20 | 22 |
| მალიორკა | 14 | 6 | 3 | 5 | 21:20 | 21 |
| ალავესი | 14 | 6 | 3 | 5 | 17:17 | 21 |
| ბილბაო | 14 | 5 | 5 | 4 | 20:21 | 20 |
| ბეტისი | 14 | 6 | 2 | 6 | 15:24 | 20 |
| ნუმანსია | 14 | 5 | 4 | 5 | 20:23 | 19 |
| ვალენსია | 14 | 5 | 3 | 6 | 18:14 | 18 |
| ესპანიოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 23:23 | 18 |
| რასინგი | 14 | 4 | 5 | 5 | 22:22 | 17 |
| სოსიედადი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:20 | 17 |
| ატლეტიკო | 14 | 5 | 2 | 7 | 22:27 | 17 |
| მალაგა | 14 | 4 | 4 | 6 | 23:23 | 16 |
| რეალი | 14 | 3 | 7 | 4 | 23:26 | 16 |
| ვალიადოლიდი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:21 | 15 |
| ოვიედო | 14 | 3 | 4 | 7 | 11:21 | 13 |
| სევილია | 14 | 1 | 7 | 6 | 13:20 | 10 |

## უნგრეთი

### XVI ტური

**უიპეშტი 4:1 ვაშაში**

1:0 კოვაჩი (2), 2:0 ნ. ტოტი (18), 2:1 სილი (27), 3:1 ნ. ტოტი (67), 4:1 ზიმერმანი (90)

**ტატაბანია 1:1 ჰალადაში**

0:1 ბორბელი (45), 1:1 ფიუზეში (48)

**დიოშდიორი 2:1 ზალაეგერსეგი**

0:1 შებოკი (33), 1:1 ფილიპოვიჩი (48), 2:1 ფრუნზა (59)

**შიოფოკი 1:0 კიშპეშტი**

1:0 ფიოლდეში (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 16 | 9 | 6 | 1 | 38:15 | 33 |
| მტკ | 16 | 9 | 6 | 1 | 29:12 | 33 |
| ვაშაში | 16 | 10 | 1 | 5 | 28:16 | 31 |
| დებრეცენი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:17 | 26 |
| გაზსერი | 15 | 6 | 7 | 2 | 21:18 | 25 |
| ტატაბანია | 16 | 6 | 7 | 3 | 19:18 | 25 |
| უიპეშტი | 15 | 6 | 6 | 3 | 24:19 | 24 |
| ზალაეგერსეგი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:12 | 23 |
| დიორი | 16 | 5 | 6 | 5 | 24:18 | 21 |
| ფერენცვაროში | 15 | 4 | 5 | 6 | 22:15 | 19 |
| დიოშდიორი | 16 | 4 | 6 | 6 | 17:21 | 18 |
| ჰალადაში | 16 | 5 | 3 | 8 | 18:24 | 18 |
| ნიირეგი | 16 | 4 | 5 | 7 | 15:26 | 17 |
| კიშპეშტი | 15 | 3 | 6 | 6 | 13:18 | 15 |
| ნადიკანიჟა | 16 | 3 | 6 | 7 | 14:21 | 15 |
| შიოფოკი* | 16 | 5 | 2 | 9 | 13:23 | 14 |
| სეგედი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:37 | 13 |
| ვაცი | 16 | 1 | 5 | 10 | 15:35 | 8 |

*შიოფოკს* დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოკოლი (დუნაფერი) | 10 |
| ჰორვატი (ფერენცვაროში) | 9 |
| ფრუნზა (დიოშდიორი) | 8 |

# ნაღდი მანჩესტერელი

ბიბლიოთეკა




ამ ბოლო ხანს ხანგრძლივის ჟაბაასისა და დისკუსიის საგანი იყო „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ირლანდიის ნაკრების კაპიტანი როი კინი, რომლის კლუბში დარჩენა-არდარჩენაზე უამრავ ჭორს გაიგონებდით. იყო ხმები (არც თუ მთლად უსაფუძვლო), თითქოს ფეხბურთელის გადაბირებას ისეთი ევროპული კლუბები აპირებდნენ, როგორიც რომის „ლაციო“, მადრიდის „რეალი“, მილანის „ინტერი“, ტურინის „იუვენტუსი“ და მისთანა გრანდები არიან. თუმცა ეს ხმები ახლა საბოლოოდ გაქარწყლდება. ოთხშაბათს როი კინმა ოფიციალურად გააგრძელა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მიმდინარე კონტრაქტი, 28 წლის ფეხბურთელი კიდევ ოთხი წელი დაჰყოფს „ოლდ ტრეფორდზე“.

უდავოა, როი კინის როლი და მნიშვნელობა დღევანდელ „მანჩესტერში“ და მის ბოლოდროინდელ წარმატებებში. ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ეცადა, ირლანდიელი თავისთან დაეტოვებინა. გაირკვა კინის ხელფასიც, რომელიც 50 ათასი გირვანქით (დაახლოებით 81 ათასი დოლარით) განისაზღვრა. ამის გარდა, როი ყველაზე მაღალანაზღაურებიანი ფეხბურთელი გახდა პრემიერლიგაში.

მანჩესტერელთა თავკაცი ალექს ფერგიუსონი დიდად გაახარა კაპიტნის გუნდში დარჩენამ. სერ ალექსი ბოლო დროს აქტიურად ცდილობდა, დაეყოლიებინა კლუბის ხელმძღვანელობა ამ ნაბიჯზე.

თავად კინიც მოხარულია, რომ ხელმძღვანელობასთან საერთო ენა გამონახა ფინანსურ ასპექტში და აცხადებს:

— ძალიან მიხარია, კიდევ ოთხი წელი ვრჩები „ოლდ ტრეფორდზე“, თუმცა გულწრფელად გეტყვით, უკანასკნელ კვირამდე არ ვიცოდი ზუსტი პასუხი. ვფიქრობდი, „მანჩესტერის“ დატოვება მომიწევდა, მაგრამ კარგია, რომ ეს არ მოხდა. სხვა კლუბში გადასვლაზე ზედმეტია ლაპარაკი. „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობის კარგად მესმის. მათ ადრეც შეეძლოთ ჩემთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ დაელოდნენ, ვიდრე ტრავმა ბოლომდე მომიშუშდებოდა. უნდოდათ, დარწმუნებულიყვნენ, რომ ტრავმის შემდეგ თამაშს არ ვუკლებდი და ფორმას არ დავკარგავდი. მოხარული ვარ და ვამაყობ იმით, რომ მანჩესტერში ვთამაშობ, ერთი სული მაქვს, ვიდრე გუნდთან ერთად კიდევ ახალ თასებსა და ჯილდოებს მოვიგებ.

ნიკა შუბლაძე

# ფეხები არა, ხელები!

## ქართველებმა ფეხებზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთ. ძირს ფეხები, ხელებს მივაქციოთ ყურადღება

შეცდომაა: ცუდ ფეხზე ავდექი.
სწორია: ახალგალვიძებულმა ხელი პირველად ამას და ამას მოვკიდე.
შეცდომაა: მავანს ცუდი ფეხი აქვს.
სწორია: მავანს ცუდი ხელი აქვს.
შეცდომაა: მავანს კარგი ხელი აქვს.
სწორია: მავანს ცუდი ხელი აქვს.

*კარგი ხელი არ არსებობს. ჩვენთვის ნებისმიერი ხელი — თეთრი, შავი, დაკუნთული, დაუკუნთავი — ცუდია.*

*დავამტკიცოთ. დავიწყოთ თავიდან.*

**ხელი პირველი** (თეთრი, დაკუნთული) — იგი ინგლისელ კაცს, ლონდონის „არსენალის“ ყოფილ მეკარეს, ბობი უილსონს აბია. ამ ხელმა საქართველოს ეროვნული ნაკრები 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გერმანიასთან, ბულგარეთთან, უელსთან, ალბანეთთან და მოლდოვასთან მოახვედრა. ხელი ცუდი გამოდგა, გერმანია და მოლდოვა ძლიერი. ან კი რა უნდა მოგვეთხოვა იმ კაცის ხელისთვის, რომელიც ზიმბაბველი მეკარის, ბრიუს გრობელაარის სასამართლო პროცესზე ექსპერტად ჰყავდათ მიწვეული და ვიდეოჩანაწერით არჩევინებდნენ ამა თუ იმ გოლის გაშვების დროს, გრობელაარი ალალად გადახტა თუ ყალბად.

**ხელი მეორე** (შავი) — ეს ხელი ლიბერიელ ჟორჟ ვეას საკუთრებაა და, ალბათ, შიგადაშიგ სტკივა. მან მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველო ჩაუძახა იქ, სადაც ინგლისი, იტალია, პოლონეთი და მოლდოვა ბობოქრობდნენ. ეს ხელიც საძაგელი აღმოჩნდა, რაც მოსალოდნელი გახლდათ, რადგან მასზე მიბმული კაცი 1995 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მხოლოდ კანის ფერის და ევროპის დემოკრატიზაციის გამო გახდა, თორემ იმ წელიწადს იურგენ კლინსმანი დაფრინავდა. კლინსმანმა, სხვათა შორის, კარიერა ისე დაასრულა, რომ „ოქროს ბურთი“ არ რგებია, საქართველოს ნაკრებმა კი შესარჩევი ციკლი დაასრულა წარუმატებლად.

**ხელი მესამე** (ძალიან თეთრი) — აქ საქმე ერთდროულად ორ ხელთან გვაქვს. ორივე მარჯვენაა და ორივე ევროპის ქათქათა ნაწილის შვილს ჰკიდია — ერთი ჰოლანდიელ იოჰან კრუიფს, მეორე ბელგიელ პოლ ვან ჰიმსტს. ამ ხელებმა საქართველოს რიგრიგობით არგუნეს კოშმარი: ნორვეგია, საბერძნეთი, სლოვენია, ლატვია, ალბანეთი. ერთი კაცის კიდური რა დღეში გვაგდებდა, ორის რას გვიზამდა. კარგს რას მოგვიტანდა ან ის, რომელიც პატრონს სულ გაშვერილი ჰქონდა, რათა თავისი უნიჭო შვილისთვის აეხსნა, საით უნდა გაქცეულიყო, ან მეორე, რომლის პატრონიც ბურთს თამაშობდა და გუნდებს წვრთნიდა ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი ფეხბურთელების მეტს არავის აინტერესებს და მოსახლეობა ამ სახეობის შესახებ მაშინღა იგებს, ინგლისელები და იტალიელები სტადიონს რომ დაუნგრევენ.

**ხელი მეოთხე** (მსუქანი და არაფრით გამორჩეული) — აქაც ორი ადამიანის (კაცია ადამიანი?!) ხელთან გვაქვს საქმე. ერთის პატრონი გახლავთ იაპონელი კონიშიკი, მეორის — მექსიკელი უგო სანჩესი, ხოლო საქართველოს მეტოქეები: რუმინეთი, იტალია, ლიტვა და უნგრეთი. და ვინ იტყვის, რომ ეს ხელები სხვებზე ნაკლებ ნავსიანნი არიან? ან ვინ ელოდა უკეთესს, როდესაც სუმისტი კონიშიკი სცენაზე ძლივს აგორდა? მისი საფეხბურთო კენჭისყრაში მონაწილეობა ხომ დაახლოებით იგივეა, კულა გლდანელს ერთა ლიგის დამფუძნებელი კრება რომ გაეხსნა. იქნებ, უგო სანჩესისგან ველოდით რაიმე კარგს? კაცი, რომელიც გარეგნობით მექსიკური ტელესერიალების გმირს დამსგავსებია, კარგს რას გაგვიკეთებს.

ამიტომაც ვამბობთ: ქართველებმა ფეხებზე ცქერას თავი უნდა დავანებოთ. რაც უფრო მალე დავამკვიდრებთ გამოთქმებს: ხელების მოჭმა, ხელებზე დაკიდება, ხელის (ნეკა თითის) ფრჩხილადაც არ ღირს და სხვა — ფეხბურთიდან ხელბურთზეც თუ გადავერთვებით, კარგი იქნება — უკეთ ავუწყობთ თანამედროვე მსოფლიოს ხელს.

მაშ ასე, ძირს ფეხები, ხელები მაღლა!

პაპუნა ძედია

*ეროვნული ცნობიერების გარდაქმნის მსურველთ შეგვიძლია ოფიციალურად ჩამოვაყალიბოთ ორგანიზაცია და ევროგაერთიანებას კრედიტი ვთხოვოთ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. A ჯგუფი

### ბარსელონა 5:0 სპარტა

1:0 კლუივერტი (44), 2:0 ლუის ენრიკე (45), 3:0 გვარდიოლა (59), 4:0 კლუივერტი (63), 5:0 ლუის ენრიკე (76)
ბარსელონა: არნაუ, რაიციგერი (ხავი 83), დეუ, ფ. დე ბური, ზენდენი, ლუის ენრიკე (რ. დე ბური 77), გვარდიოლა, კოკუ, ფიგუ (სიმაო 77), კლუივერტი, რივალდო
სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ნოვოტნი, ფუკალი, ჰაშეკი, ჰორნაკი, სვობოდა (ბოლფი 17), ბარანეკი, როსიკი, ლოკვენცი, სიონკო (იაროშიკი 68)
გაძევება: ჰაშეკი (38)
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

კატალონიურმა „ბარსელონამ“, რომელიც არამცთუ ჩეხურ „სპარტასთან“ შეხვედრაში, არამედ საერთოდ ტურნირის ერთ-ერთ რეალურ ფავორიტად ითვლება, მიწასთან გაასწორა ჩეხები. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ „სპარტა“ უდიდეს ზეწოლას არ შეუშინებია, პირველ ტაიმში ესპანელებს მედგარი წინააღმდეგობაც გაუწია და პირველი ბურთი მხოლოდ ტაიმის მიწურულს, 44-ე წუთზე გაატანინა.

ყოველივე ძალიან ლამაზად გააკეთა ჰოლანდიელმა პატრიკ კლუივერტმა. ამას ერთ წუთში ლუის ენრიკეს გოლი მოჰყვა, რომელმაც ჩინებულად გამოიყენა ფილიპ კოკუს პასი. ოთხ წუთში მოპოვებულმა ორბურთიანმა უპირატესობამ კატალონიელებს ფრთები შეასხა და ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოჩნდა. „სპარტა“ ორმა სწრაფმა გოლმა გატეხა, დანარჩენი კი „ბარსას“ საქმე იყო...

ლუის ენრიკემ 76-ე და პატრიკ კლუივერტმა 63-ე წუთებზე თითო-თითო გოლი კიდევ შემატეს თავიანთ ანგარიშს, ხოლო მანამდე, 59-ზე, „ბარსელონას“ კაპიტანმა ხოსეპ გვარდიოლამ საჯარიმო გოლად აქცია. ძალიან ცდილობდა, ბურთი გაეტანა და ლიგის საუკეთესო ბომბარდირ მარიო ჟარდელს დასწეოდა ბრაზილიელი რივალდო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მით უმეტეს, რომ ერთი-ორი საგოლე მომენტი თვითონაც შექმნა.

„სპარტას“ ამგვარი განადგურება, უეჭველია, 38-ე წუთზე მათი მცველის, მარტინ ჰაშეკის გაძევებამაც გამოიწვია, რომელმაც ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

„პირველ ნახევარში „ბარსას“ ზეწოლას ვუმკლავდებოდით, მაგრამ კაცნაკლულობამ გუნდზე აშკარად იმოქმედა.

ამის შემდეგ ჩვენს კარში პირველი გოლის გატანა მხოლოდ დროის ამბავი იყო“ — განაცხადა „სპარტას“ მწვრთნელმა ივან ჰაშეკმა.

### პორტუ 1:0 ჰერტა

1:0 დრულოვიჩი (78)
პორტუ: ვიტორ ბაია (ილარიუ 74), სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ალოიზიო ალვეში, ესკერდინია, პაულინიუ სანტუში, ჩაინიო, დეკო სოუზა, ნუნო კაპუჩო, რუბენს ჟუნიორი (დრულოვიჩი 55), ჟარდელი
ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, ვან ბურიკი, სვერისონი, რემერი (პარტმანი 46), კონსტანტინიდისი (დაეი 81), შმიდტი, ვოში, ნოიენდორფი (ტომი 64), მიხალკე, პრეეცი
გაძევება: პაულინიუ სანტუში (89)
მსაჯი: რ. ვოიჩიკი (პოლონეთი)

პორტუგალიაში იქაურმა „პორტუმ“ გერმანულ „ჰერტას“ უმასპინძლა და 78-ე წუთზე იუგოსლავიელი ლიუბინკო დრულოვიჩის მიერ გატანილი ერთადერთი გოლით დაამარცხა. შედეგად კი ორი ჩატარებული შეხვედრიდან მაქსიმალური ექვსი ქულა დაუგროვდა და ჯგუფს სათავეში ერთპიროვნულად ჩაუდგა.

გოლის ავტორმა დრულოვიჩმა 55-ე წუთზე რუბენს ჟუნიორი შეცვალა. როგორც შემდგომ გაირკვა, ერთობ წარმატებულადაც. იუგოსლავიელმა, რომელიც „ჰერტას“ მეკარე გაბორ კირალისთან პირისპირ დარჩა, იგი იოლად მოატყუა. გოლი მანამდეც გავიდა, თუმცა თამაშგარე მდგომარეობაში და მსაჯებმა არ ჩათვალეს — ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა მარიო ჟარდელმა თავის 6 ბურთს ამჯერად ვერაფერი მიუმატა.

„ჰერტას“ გოლკიპერ კირალის ერთი-ორჯერ მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება, როდესაც დეკო სოუზასა და იმავე დრულოვიჩის დარტყმულები მოიგერია. ბერლინელთაგან საგოლე მომენტი კაპიტან მიხაელ პრეეცს შეექმნა, თუმცა ვერ გამოიყენა — ბურთი მიზანს ააცილა. მოკლედ, საფინალო სასტვენამდე დანამდვილებით არავინ იცოდა, ვინ გაიმარჯვებდა, მით უმეტეს, რომ 89-ე წუთზე პორტუგალიელებს ნახევარმცველი პაულინიუ სანტუში გაუძევეს. მან ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

კარგად ითამაშა პორტუგალიელთა მეკარე ვიტორ ბაიამ, რომელმაც შეცვლამდე ერთი-ორჯერ ლამაზად მოიგერია და კარიც მშრალად შეინახა. მას მეორე ჯგუფური ეტაპის ორ შეხვედრაში ჯერჯერობით არც ერთი ბურთი არ გაუშვია. ასეთივე შედეგი აქვთ „ლაციოს“ გოლკიპერ ლუკა მარკეჯანისა და მის ფიორენტინელ კოლეგა ფრანჩესკო ტოლდოს.



პორტუ — ჰერტა 1:0. ბერლინელთა კაპიტანს მიხაელ პრეეცს პორტუელი ჟორჟე კოშტა (№2) გაექცა

ახლა „პორტუ“ A ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობს. ესპანური „ბარსელონა“ მას ორი ქულით ჩამორჩება.

*III ტური. 1 მარტი, 2000 წელი. ბარსელონა — პორტუ, ჰერტა — სპარტა*

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუ | | 7.III | 1:0 | 15.III | 3:0 | 6 |
| 2 | ბარსელონა | 1.III | | 15.III | 5:0 | 6:1 | 4 |
| 3 | ჰერტა | 21.III | 1:1 | | 1.III | 1:2 | 1 |
| 4 | სპარტა | 0:2 | 21.III | 7.III | | 0:7 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. B ჯგუფი

### მანჩესტერი 3:0 ვალენსია

1:0 კინი (38), 2:0 სოლსკიაერი (47), 3:0 სქოულზი (69)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, ფ. ნევილი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი (ბათი 72), გიგზი, კოული (იორკი 72), სოლსკიაერი
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, მენდიეტა, კარბონი, ფარინოსი, მილია, ანგლომა, ოსკარ გარსია (ხუან სანჩესი 69), კლაუდიო ლოპესი (ვლაოვიჩი 85)
მსაჯი: კ. მილტონ ნილსენი (დანია)

მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“, ერთმანეთის პირისპირ ადგილობრივი „იუნაიტედი“ და ესპანური „ვალენსია“ წარსდგნენ. ალექს ფერგიუსონის გუნდმა, რომელმაც საბოლოოდ გააფორმა ოთხწლიანი კონტრაქტი თავის კაპიტან როი კინთან, 3:0 დაამარცხა სტუმრები. თანაც პირველი გოლი შეხვედრაში თავად კაპიტანმა გაიტანა. 38-ე წუთზე მშვენიერი დარტყმით, მან ესპანელთა მეკარე პალოპს შანსი არ დაუტოვა. კინის ახალმა კონტრაქტმა და თანაც მისმა გოლმა გაუორმაგა სიხარული სერ ალექსს, რომელმაც განაცხადა: „ძალიან მიხარია როის ახალი კონტრაქტი და, რა თქმა უნდა, დღევანდელი წარმატება. ყოველთვის მჯეროდა, რომ კინი „მანჩესტერში“ დარჩებოდა, ამის საფუძველს მასთან საუკეთესო ურთიერთობა მაძლევდა. მართალია, გავრცელდა ხმები, რომ როის გუნდის დატოვება სურდა, მაგრამ არ გამართლდა, გუნდმა კაპიტანი შეინარჩუნა“.

„მანჩესტერი“ მართლაც მაღალი ფსიქოლოგიური განწყობით გავიდა მინდორზე. მისი შეჩერება „ვალენსიამ“ ვერაფრით მოახერხა. ფლანგებიდან ჩვეულად უტევდნენ რაიან გიგზი და დევიდ ბექემი. სწორედ ამ უკანასკნელის ჩაწოდებულს მოჰყვა ის ორი მომდევნო გოლი, რომელიც ნორვეგიელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა და პოლ სქოულზმა გაიტანეს. დევიდ ბექემმა კიდევ ერთი ღირშესანიშნავი მომენტი შექმნა შეხვედრაში, 29-ე წუთზე დარტყმულმა მისმა ჯარიმამ ცოცხალ კედელს გადაუფრინა და ხარიხა შეაზანზარა. სახიფათო შეტევები ესპანელებმაც განახორციელეს. 54-ე წუთზე არგენტინელ ფორვარდ კლაუდიო ლოპესს შეექმნა კარგი საგოლე მომენტი, მაგრამ მისმა დარტყმულმა ბურთმა კარს ზემოდან გადაუფრინა.

მთლიანობაში შეხვედრა ლამაზი სანახავი გამოდგა. მანჩესტერელი გულშემატკივარი შედეგითაც და სანახაობითაც კმაყოფილი დარჩა, რასაც ნამდვილად ვერ შეატყობდით „ვალენსიას“ მთავარ მწვრთნელ, არგენტინელ ფეხბურთის სპეციალისტ ექტორ რაულ კუპერს, რომლის გუნდიც ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ერთობ ძლიერად ასპარეზობს.

„არ გაგვიმართლა, რადგან „მანჩესტერთან“ შეხვედრა იმ პერიოდში მოგვიწია, როდესაც გუნდი, მართლაც იდეალურ ფორმაშია, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. თუმც მარტო გამართლებაც არაფერ შუაშია. გოლის გატანის კარგი შანსები ჩვენც გვქონდა, მაგრამ, მეტოქისგან განსხვავებით, ვერ გამოვიყენეთ. „მანჩესტერმა“ კი ბრწყინვალედ შეძლო მომენტების რეალიზაცია“.

შეხვედრის შემდეგ „მანჩესტერმა“ და „ვალენსიამ“ თანაბარი ქულები დააგროვეს და გათამაშების ცხრილში იტალიურ „ფიორენტინას“ ჩამორჩებიან.

### ბორდო 0:0 ფიორენტინა

ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, საველიჩი, ალიკარტე, მარტენსი (რუვიე 85), პავონი, დიაბატე, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ფირიკანო, პიერინი, ტორიჩელი, დი ლივიო, კ. ამორუზო (როსიტო 70), რუი კოშტა, ჰაინრიხი, კიეზა (ბრესანი 71), ბალბო
მსაჯი: კ. ნილსონი (შვედეთი)

„ფიორენტინამ “ მოახერხა და ბორდოში, ადგილობრივ კლუბ „ბორდოსთან“ მშრალად შეინახა თავისი კარი. თუმცა გოლის გატანა ვერც თვითონ შეძლო. ამრიგად, შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

მიღწეულ ფრეს ფლორენციელები მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც რამდენჯერმე სასწაულებრივ იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისგან, ერთ მომენტში კი ხელით რომ ვერაფერს გახდა, ბურთი თავით მოიგერია.

იტალიელებს ლიდერის — გაბრიელ ბატისტუტას არყოფნა აშკარად ეტყობოდათ. დისკვალიფიკაციის გამო მან მატჩი გამოტოვა და თავისი ადგილიც თანამემამულე აბელ ბალბოს დაუთმო. მაგრამ ბალბო-კიეზას შემტევი დუეტი საფრთხეს ვერ უქმნიდა ფრანგთა კარს. პირიქით, შეტევებს „ბორდო“ ახორციელებდა და, რომ არა ტოლდოს ვაჟკაცობა, მათ ფორვარდებს — ლილიან ლასლანდსა და სილვენ ვილტორდს გოლების გატანაც შეეძლოთ.

შეხვედრის შემდეგ ფლორენციელთა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა: „მართალია, ჩვენი დაცვა რამდენჯერმე გადაურჩა სერიოზულ საფრთხეს, მაგრამ გაუძლო და კარი მშრალად შეინახა, რაც ტოლდოს დამსახურებაცაა. თუმც ეს გასაკვირი არ გახლავთ, „ბორდო“ ჩემპიონია და არა შემთხვევითი გუნდი, რომელიც ლიგაში თამაშობს და ბედის ანაბარადაა დარჩენილი. მართალია, მათ ჰქონდათ ჩავარდნები, მაგრამ კრიზისი დაძლიეს და ახლა მშვენიერ ფეხბურთს უჩვენებენ, დღეს ჩვენ ბატისტუტა არ გვყავდა, ეს კი სერიოზული დანაკლისია“.

აზრი გამოთქვა „ბორდოს“ მთავარმა მწვრთნელმა ელი ბოპმაც: „გუნდმა თამაში უნდა დახვეწოს. ვფიქრობ, საშიში პერიოდში ზურგს უკანაა, კრიზისი დავძლიეთ, „ფიორენტინასთან“ კარგი თამაში ამის ნათელი მაგალითია, მაგრამ ფლორენციელთა მეკარე სასწაულებს სჩადიოდა, თუმც ვფიქრობ, რომ მატჩის დებიუტში დაახლოებით მე-9 წუთზე პენალტს ვიმსახურებდით. იოან მიკუს თავური დი ლივიომ საჯარიმოდან ხელით გამოიტანა“.



ბორდო — ფიორენტინა 0:0. ფლორენციელი იორგ ჰაინრიხი (ბურთით) ბორდოელი კორენტინ მარტენსისგან თავის დაღწევას ცდილობს

*III ტური. 1 მარტი, 2000 წელი. მანჩესტერი — ბორდო, ფიორენტინა — ვალენსია*

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფიორენტინა | | 2:0 | 1.III | 21.III | 2:0 | 4 |
| 2 | მანჩესტერი | 15.III | | 3:0 | 1.III | 5:2 | 3 |
| 3 | ვალენსია | 7.III | 21.III | | 3:0 | 3:3 | 3 |
| 4 | ბორდო | 0:0 | 7.III | 15.III | | 0:3 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# UEFA EURO 2000 კვირას, ბრიუსელში

სანამ ტოკიოში გამართული მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის წილისყრის შედეგებს ვარჩევთ, ევროპა კიდევ ერთი მსგავსი ღონისძიებისთვის ემზადება. კვირას, 12 დეკემბერს, კონტინენტის თექვსმეტი ქვეყნის წარმომადგენლები და უეფას ოფიციალური პირები ბრიუსელში შეიკრიბებიან. ევრო-2000-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული გუნდები ოთხ ჯგუფში განაწილდებიან. საქართველო მათ შორის არ არის, მაგრამ ამით ქართველ გულშემატკივართა ინტერესი ტურნირისადმი არ მცირდება. ევროპის ჩემპიონატზე მოთამაშე გუნდებზე ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი ვიცით. თუმცა ურიგო არ იქნება, თუ თვალს კიდევ ერთხელ გადავავლებთ. დღეს ოთხ გუნდზე ვისაუბროთ. იტალია და რუმინეთი ჩვენი მომავალი მეტოქეები არიან, გერმანია და ჩეხეთი — წინა ჩემპიონატის ფინალისტები.


რუმინელებს ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში თამაში არ წაუგიათ

## საწყალი ძოფი, საწყალი იტალია

იტალიის ნაკრები დინო ძოფის ხელმძღვანელობით პირველ სეზონს ატარებს. იტალიის ყველაზე სოლიდურ სპორტულ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტში“ უკვე გამოჩნდა ასეთი სათაური: „საწყალი ძოფი, საწყალი იტალია“. მართლაც, შესარჩევ ჯგუფში იტალიელებმა საკმაოდ ბევრი და ამავე დროს გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგეს. ერთადერთი გუნდი, ვისაც მათ ორივე თამაში მოუგეს, უელსის ნაკრები იყო. აპენინელებს დადებითი ბალანსი ჰქონდათ ჩრდილოელ მეზობელ შვეიცარიასთანაც — ერთი მოგება, ერთი ფრე, აი, დანარჩენ ორ მოწინააღმდეგესთან იტალიამ ვერაფერი გააწყო. „სკუადრა აძურამ“ ორივე შეხვედრა ფრედ ითამაშა... ბელარუსთან. კიდევ იყო სენსაციური მარცხი დანიასთან. ნეაპოლში სტუმრები 2:0 იგებდნენ. შემდეგ დანიელებმა ივაჟკაცეს და იტალიელთა ნაქები დაცვა სამჯერ გაარღვიეს. ძოფის ბიჭებმა ორი ამხანაგური მატჩიც გამართეს. ხორვატიასთან უგოლო ფრის შემდეგ, შინ ბელგიასთან 1:3 წააგეს.

ზემოთ თქმული, ცხადია, არ ნიშნავს, თითქოს იტალია ჩამოსაწერი იყოს. კარგად ვიცით, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონისთვის სხვა მიზანი არ არსებობს, თუ არა ნებისმიერ ტურნირში გამარჯვება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დიდი ფეხბურთელი სათადარიგო სკამზე ზის, ანაც ნაკრებში ვერ ხვდება, „სკუადრა აძურას“ ყოველი მოთამაშის ვარსკვლავობაზე მიგვანიშნებს.

დინო ძოფი ბრწყინვალე მეკარე იყო და დაცვის სწორად აგება არ უნდა შეეშალოს. თანაც, მასზე ამბობენ, კონსერვატორი კაციაო, ესე იგი, „კატენაჩოს“ მიმდევარი.

თმაშელებილი მწვრთნელი ანჯელო პერუცის და ჯანლუკა პალიუკას კარის დაცვას აღარ ანდობს. მათ მაგიერ ძოფმა პარმელი ჯანლუიჯი ბუფონი და ფიორენტინელი ფრანჩესკო ტოლდო მიიწვია. დღეს ისინი იტალიის საუკეთესო მეკარეებად ითვლებიან და სანაკრებო გამოცდილებაც არ აკლიათ.

დაცვის ცენტრი პარმელ ფაბიო კანავაროს და ლაციოელ ალესანდრო ნესტას აბარიათ. მათ ჯერ კიდევ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიჩინეს თავი. იქ კანავარომ და ნესტამ ახალგაზრდა, მაგრამ მეტად საიმედო წყვილის სახელი მოიპოვეს. ისიც აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ტურინელ ჩირო ფერარას არ უთამაშია. მას ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა და ახლა ძირითადში კვლავ დასამკვიდრებლად ახალგაზრდებს უდიდეს კონკურენციას უწევს. რაკი ასაკსა და გამოცდილებაზე ჩამოვარდა სიტყვა, პაოლო მალდინიც უნდა ვახსენოთ. მწვრთნელები იცვლებიან, მალდინი კი რჩება. იტალიელთა კაპიტანს ნაკრების ლურჯი მაისურა ასზე მეტჯერ ჩაუცვამს. უმცროს მალდინისთან ერთად დაცვის ფლანგიდან გამაგრება ყოფილ რეალელ კრისტიან პანუჩის ევალება.

დინო ძოფს თავდამსხმელთაგან ყველაზე მეტად მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი კრისტიან ვიერი და ფილიპო ინძაგი მოსწონს. მომავალ ევროპის ჩემპიონატზე გოლების გატანა, ალბათ, მათ დაევალებათ. მწვრთნელი ალესანდრო დელ პიეროს, ენრიკო კიეზას და ვინჩენცო მონტელასაც აკვირდება. ვიერის და ინძაგის ადგილების დასაკავებლად ამ სამეულს დიდი ბრძოლა მოუწევს.

სოლიდური დაცვა, სოლიდური თავდასხმა, რა ხდება მოედნის შუაში? ეს ის ადგილია, დინო ძოფს ყველაზე მეტ თავსატეხს რომ უჩენს. დინო ბაჯო და დემეტრიო ალბერტინი დღეს იმ ფეხბურთს ვეღარ თამაშობენ, როგორსაც მათგან ელიან. მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელთა საუკეთესო ნახევარმცველს, ლუიჯი დი ბიაჯოს „რომადან“ „ინტერში“ გადასვლის შემდეგ სიზანტე შეჰყრია. ძოფი მათ ნაცვლად ახალგაზრდების აყვანას ფიქრობს. პარმელი პაოლო ვანოლი, იუვენტუსელი ჯანლუკა ძამბროტა და რომაელი ფრანჩესკო ტოტი ძოფის რჩეულნი არიან.

თავის დროზე ჩეზარე მალდინი ამბობდა და დინო ძოფმაც გაიმეორა, ფეხბურთელთათვის ნაკრებში თამაში ნაკლებად პრესტიჟული გახდაო. მართლაც, ბევრისთვის სერია A-ს რიგით ტურში გამოსვლა უფრო მნიშვნელოვანია.

აძელიო ვიჩინი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელთა მწვრთნელი, ამჟამად ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, ამბობს: „იტალიის ჩემპიონატის ავტორიტეტი უზომოდ გაიზარდა. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ სერია A-ში ორასზე მეტი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს. ცხადია, ეს ნაკრების მწვრთნელს დამატებით სირთულეებს უქმნის. უცხოელებმა ბევრი იტალიელი ამოაგდეს კლუბების ძირითადი შემადგენლობიდან. შესაბამისად, ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელების შერჩევა გაძნელდა. ჩემს დროს ასე არ იყო“.

დინო ძოფის ტაქტიკაზე ორიოდე სიტყვა არიგო საკიმაც თქვა: „ვიხურვებდი, რომ იტალიის ნაკრები უფრო ავანტიურულ ფეხბურთს თამაშობდეს. თუმცა ძოფს თავისი მოსაზრება აქვს. ერთი რამ ზუსტად ვიცი — იტალია ევროპის ჩემპიონი თუ ვერ გახდა, ძოფს ჩემსავით გაათავისუფლებენ“.

**გიორგი დარჯანია**


იტალიელთა თავკაცი დინო ძოფი

## დროა, ჯილდოც მოვიპოვოთ

რუმინეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონობას უმიზნებს. ამის შესახებ მწვრთნელმა, ემერიხ ენეიმ განაცხადა. სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპიდან ორმა ქვეყანამ — რუმინეთმა და ბულგარეთმა დაგვამახსოვრა თავი. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ბულგარელთა კარგ თამაშს ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. მათგან განსხვავებით, რუმინეთის ნაკრებმა ძლიერი და სტაბილური გუნდის სახელი მოიხვეჭა. ემერიხ ენეის ოპტიმიზმიც სწორედ ამ ფაქტს ეყრდნობა. „რუმინელ ფეხბურთელებს უზარმაზარი გამოცდილება გააჩნიათ, ამიტომ ჩემპიონობა მიუღწეველ ოცნებას არ წარმოადგენს. ათწლიანი წარმატებული თამაშის შემდეგ დროა, ჯილდოც მოვიპოვოთ“ — ამბობს იგი.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური რუმინეთის ნაკრებმა ვიქტორ პიცურკას თავკაცობით მოიგო. შემდეგ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის განხეთქილება მოხდა. ფეხბურთის ფედერაცია გეორგე ჰაჯის და მისი მეგობრების მხარეს დადგა. შედეგად ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. თუმცა არ ითქმის ენეიზე, ახალიაო. რუმინელთა საერთაშორისო აღიარებას სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი. მისი ხელმძღვანელობით რუმინეთმა 1990 წელს იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. იქამდე, 1986 წელს, ენეიმ ბუქარესტის „სტიაუას“, თავის ისტორიაში პირველად ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რუმინეთის მეტოქეები პორტუგალია, სლოვაკეთი, უნგრეთი, აზერბაიჯანი და ლიხტენშტაინი იყვნენ. ესე იგი, მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსად, რუმინეთი და უნგრეთი იქაც ერთ ჯგუფში მოხვდნენ. VII ჯგუფს უძლიერესი არ ეთქმოდა, მაგრამ რუმინელებმა მაინც ჩინებული შედეგი აჩვენეს. ათ მატჩში ისინი ერთხელაც არ დამარცხებულან და საკუთარ კარში მხოლოდ სამი გოლი გაუშვეს.

რუმინელთათვის ყველაზე წარმატებული 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. არგენტინასთან ბრწყინვალედ მოგებული მატჩის შემდეგ, ისინი მეოთხედფინალში შვედეთთან პენალტებში დამარცხდნენ.

ორი წლის შემდეგ რუმინეთი ევრო 96-ზე კი მოხვდა, მაგრამ ჯგუფში სამივე თამაში წააგო. გემახსოვრებათ, მაშინ ბულგარელებს რუმინელთა კარში გატანილი ულამაზესი გოლი არ ჩაუთვალეს, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო.

უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის გამოსვლას ენეიმ ასეთი კომენტარი გაუკეთა: „პარადოქსია, მაგრამ ინგლისთან მოგება ჩვენთვის სასიკვდილო აღმოჩნდა“. იმ მოგების შემდეგ რუმინელებმა ძალა ვეღარ აღიდგინეს და ტუნისთან ფრეს დასჯერდნენ. შემდეგ ყვითლად თმაშეღებილებმა მერვედფინალური მატჩი ხორვატიასთან დათმეს. ენეის მაშინ უთქვამს: „ჩვენმა ფეხბურთელებმა არ იციან, გამარჯვების სიხარული როგორ გამოხატონ.“

დღეს მწვრთნელი თავის მთავარ ამოცანად მენტალიტეტის შეცვლას მიიჩნევს. მისი თქმით, ფეხბურთელები მოედანზე იმ განწყობით უნდა გამოდიოდნენ, რომ ის მატჩი მათ კარიერაში უმნიშვნელოვანესია.

სერიოზული მიზნები აქვთ ნაკრების ვეტერანებსაც. გეორგე ჰაჯი და გეორგე პოპესკუ იმის გარდა, რომ ორივე თურქულ „გალათასარაიში“ თამაშობს, ერთმანეთის სიძე-ცოლისძმაც არიან.

ჰაჯი ამბობს: „ჩვენი ბევრი ფეხბურთელი ნაკრებში უკვე ათი წელია, თამაშობს, ამიტომ კარიერის დასრულება ჩემპიონის რანგში გვსურს. ბელგია-ჰოლანდიაში მეტად სერიოზული ძალა ვიქნებით.“

ენეი წინ იყურება. სულ მალე ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ვეტერანი მოთამაშე გამოაკლდება. თაობათა ცვლის პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვისთვის მწვრთნელს ახალგაზრდა ფეხბურთელებიც შეურჩევია, რომლებსაც ჯერ ამხანაგურ მატჩებში გამოცდის, შემდეგ ევროპის ჩემპიონატზეც წაიყვანს. ენეიმ რამდენიმე მათგანი დაასახელა: ლორენტიუ როსუ და ერიკ ლინკარი „სტიაუადან“, ფლორინ სერნატი „ოცელულიდან“, ადრიან მუტუ, ადრიან მიხალკე და მარიუშ ნიკულაუ ბუქარესტის „დინამოდან“.

როგორც ჩანს, ენეი აქცენტს რუმინეთში მოთამაშე ფეხბურთელების „გავარსკვლავებაზე“ აკეთებს.

**გიორგი დარჯანია**

# აუტსაიდერი ჩემპიონობის პრეტენზიით

ბერმანია ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე შედარებით იოლად მოხვდა, მაგრამ კონტინენტის ჩემპიონს, საკუთარ ძალთა იმ რწმენის აღდგენამდე, რომლის წყალობითაც, თავის დროზე ნებისმიერი დიდი შეჯიბრების ფავორიტად ითვლებოდა, დიდი გზა აქვს გასავლელი.

ცნობილმა ინგლისელმა ვარსკვლავმა, გარი ლინეკერმა ოდესღაც თქვა, რომ გამარჯვებულები, საბოლოოდ, ყოველთვის გერმანელები გამოდიან. ეს ფრაზა მას მერე, რაც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მეოთხედფინალში ხორვატიასთან წააგო, გერმანიის ნაკრებს აღარ უხდება.

მაღალი კლასის ოსტატებიდან (იურგენ კლინსმანი, იურგენ კოლერი, ანდი მიოლერი და სხვები), რომელთა წყალობით გუნდი გასული ათწლეულის განმავლობაში ყველას შიშის ზარს სცემდა, ზოგმა ფეხბურთელობას თავი დაანება, ზოგიც დაბერდა, მაგრამ მათი შემცვლელი ჯერ მკაფიოდ არ ჩანს.

გერმანელთა მწვრთნელი, ბერტი ფოგტსი, რომლის ხელშიც გუნდმა ევრო 96-ის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მსოფლიოს პირველობაზე საძაგელი გამოსვლის გამო თანამდებობიდან გადადგა. დღეს მის შემცვლელს, ერიხ რიბეკს ხელახალი მშენებლობის ურთულესი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი.

რიბეკი ძალიან გამოცდილი სპეციალისტი გახლავთ, მაგრამ წინამორბედთა მსგავსი ბრწყინვალე სახელი არ აქვს და ამიტომაც კრიტიკისთვის ერთობ იოლად იმეტებენ. მან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოცადა და რაც მთავარია, ერთობ თამამი ტაქტიკური ექსპერიმენტები ჩაატარა. რამდენიმე სქემა მეტისმეტად არაგერმანული კი გამოუვიდა, მაგალითად ერთ ხაზზე გამწკრივებული ოთხმცველიანი ან სულაც ოთხთავდამსხმელიანი.

მაგრამ, განსაკუთრებული წარმატება ერთ ვარიანტსაც არ მოუტანია.

ტაქტიკათა ტრიალი გუნდისთვის, რომელიც მარტივ, ფიზიკურ მომზადებაზე დაფუძნებულ, მჭიდრო დაცვიან ფეხბურთს თამაშობდა, ძნელი მისალები გამოდგა. მართალია გამოჩნდა რამდენიმე ახალი გვარი, მაგალითად იენს იერემისი „ბაიერნიდან“, მაგრამ ძირითად ბირთვს მაინც ვეტერანები წარმოადგენენ.



გერმანელთა უბერებელი კაპიტანი ლოთარ მათეუსი (№10)

იმ გარემოებამ, რომ 38 წლის ლოთარ მათეუსმა ნორვეგიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:0) ნაკრებში 143-ედ ითამაშა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ვეტერანი ლიბერო უბერებელ ვარსკვლავად წარმოადგინა, მაგრამ ეს რიბეკისეულ განახლების გეგმას ბევრს არაფერს მატებს.

გერმანელთა განკარგულებაში კვლავ არის რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელთა შორისაა გამარჯვების პოტენციური მომპოვებელი, „მილანის“ თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი. სწორედ ბირჰოფმა გაიტანა ევრო 96-ის ფინალში, ჩეხეთის ნაკრების კარში, გამარჯვების გოლი.

მაგრამ ტექნიკური მოთამაშეები, რომელთა ოსტატობასაც ნახევარდაცვა ითხოვს, სანთლით საძებარნი გახლავან. დიდ იმედს ამყარებდნენ ლარს რიკენზე, რომელმაც დორტმუნდის „ბორუსიას“ 1997 წელს ჩემპიონთა თასის მოპოვებაში დიდად შეუწყო ხელი, მაგრამ მისგან დღეს აჩრდილილაა დარჩენილი.

ყმაწვილი ფორვარდი სებასტიან დაისლერი, რომელსაც ინგლისელ მაიკლ ოუენს ადარებენ ხოლმე, ნორვეგიასთან თამაშში პირველად უნდა გამოჩენილიყო მოედანზე, მაგრამ ტრავმამ დებიუტი გადაუდო. მიუხედავად ამისა, ბერლინის „ჰერტას“ ეს ფეხბურთელი, ალბათ, ნაკრების უცვლელ მოთამაშედ იქცევა, თუმცა არც ეს უნდა იყოს რიბეკის ხსნა.

რიბეკმა, [illegible] და ევრო 2000-ის შემდეგ გაუდის, შესარჩევი კამპანია თურქეთთან [illegible] რცხით დაიწყო. ამის შემდეგ გერმანელებმა მოლდოვას, ფინეთსა და ჩრდილო ირლანდიას მოუგეს და ბოლო შეხვედრაში ბელგია — ჰოლანდიის საგზურის მოსაპოვებლად იმავე თურქეთთან ერთი ქულაც აწყობდათ. მატჩი მართლაც 0:0 დასრულდა. მწვრთნელი, რომელსაც წაგების შემთხვევაში უეჭველად მოხსნიდნენ, კმაყოფილი დარჩა.

„შედეგი საგანგებო ზეიმის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ იმისათვის, რომ ამიერიადან ევროპის ჩემპიონატზე გავამახვილოთ ყურადღება, სრულიად საკმარისია“ — თქვა მან.

შემდეგ გაიმართა ზემოხსენებული ამხანაგური შეხვედრა ნორვეგიელთა წინაალმდეგ, რომელმაც ქვეყანაში საყოველთაო იმედგაცრუება მოიტანა და ფრანც ბეკენბაუერს ათქმევინა, ის გუნდი რომელიც 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გავხადე, დღევანდელზე უკეთ ახლაც ითამაშებსო.

შესარჩევ, საკმაოდ სუსტ ჯგუფში გერმანელებმა ერთადერთხელ ითამაშეს ისე, ძველი დროება რომ გაგახსენდებოდათ. ეს იყო ჩრდილოეთ ირლანდიასთან, სექტემბერში, როდესაც 4:0 მოიგეს.

„ჩვენი ფავორიტად შერაცხვა შეცდომა იქნება“ — ამბობს დღეს ერიხ რიბეკი — „ევროპის ჩემპიონატზე აუტსაიდერის რანგში უნდა ჩავიდეთ, ბელგიის, ჰოლანდიის და კიდევ რამდენიმე გუნდის, მაგალითად იტალიის შემდეგ“.

მწვრთნელის ეს სიტყვები შეიძლება სალ აზრადაც მივიჩნიოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრებს ჩემპიონობის გარდა ყველაფერი წარუმატებლობად ჩაეთვლება. ასე თუ ისე, რიბეკი ევრო 2000-ის შემდეგ თანამდებობიდან მიდის:

„არასდროს მითქვამს, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების სათავეში მსურს დარჩენა. ჩემი გეგმები ასე შორს არ მიდის“ — ბრძანებს იგი.

**პატრიკ ვიგნალი,**
**როიტერი**

# დაუმარცხებელი

ჩეხეთის ნაკრები ის გუნდი გახლავთ, რომელმაც ევრო 2000-ის შესარჩევ შეჯიბრებაში 10 თამაში მოიგო, ხოლო ფინალურ ეტაპზე რამდენჯერაც გასულა, მესამე ადგილზე ნაკლები არასდროს მოუპოვებია.

1996 წლის პირველობაზე გერმანელებთან ფინალში დამარცხების შემდეგ, ჩეხებს ჩემპიონობაზე ნაკლები არ დააკმაყოფილებთ.

გუნდს ნაკრების ყოფილი მოთამაშე, 39 წლის იოზეფ ჰოვანეცი უდგას სათავეში. მისი იდეა შეტევაა და ამ იდეით ფრთაშესხმულმა ფეხბურთელებმა ბელგია — ჰოლანდიის გზაზე შოტლანდია, ბოსნია, ლიტვა, ესტონეთი და ფარერები გააცამტვერეს.



ჩეხთა კაპიტანი ირჟი ნემეცი (№7) შოტლანდიელ ალან ჯონსტონს გაურბის

გამარჯვებათა მწკრივმა ჩეხეთის ეროვნული გუნდი მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე მოათავსა. ის მსოფლიოს ჩემპიონს, საფრანგეთს უსწრებს, მაგრამ ბრაზილიას ჩამორჩება.

ევრო 96-ზე, ფინალში, ჩეხეთმა გერმანიასთან დამატებით დროში „ოქროს გოლის“ წესით წააგო. ეს გახლდათ მსხვილ საფეხბურთო შეჯიბრებებში პირველი შემთხვევა, როდესაც გამარჯვებული „ოქროს გოლმა“ გამოავლინა.

სანამ 1993 წელს, ყოფილი ჩეხოსლოვაკია ჩეხეთად და სლოვაკეთად დაიყოფოდა, ქვეყანამ 1976 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1960 და 1980 წლებში მესამე ადგილი მოიპოვა.

შესარჩევ შეჯიბრებაში ჩეხებმა ახალი თავდამსხმელი, იან კოლერი აღმოაჩინეს. მან ბელგია — ჰოლანდიის გზაზე ექვსჯერ გაიტანა გოლი და დღეისათვის, სულ, ათ მატჩში ცხრა ბურთი აქვს შეგდებული. დღეს „ანდერლეხტის“ თავდამსხმელი, სულ რაღაც ოთხი წლის წინ თავისი ქვეყნის მეოთხე დივიზიონის გუნდში გამოდიოდა; ხოლო გაისად ზაფხულზე, საყოველთაო აზრით, შესაძლოა ევროპის პირველობის გადამწყვეტ ფიგურადაც იქცეს.

ჰოვანცი, რომელმაც თანამდებობა დუშან უჰრინისგან მიიღო — უჰრინი გადადგა, რადგან 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა გუნდი — როგორც წესი 3-5-2 სისტემას ანიჭებს უპირატესობას. ლიბეროდ იან სუხოპარეკი ან კარელ რადა ჰყავს ხოლმე.

როგორც მოგახსენეთ, მწვრთნელს (თავად ნაკრებში 52-ჯერ უთამაშია) წინამორბედთან შედარებით უფრო შემტევი ფეხბურთი უყვარს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში თავდაცვისა და კონტრშეტევების გამოყენებაც ეხერხება. მის განკარგულებაში გახლავან საჯარიმო დარტყმათა ოსტატები პატრიკ ბერგერი და პაველ ნედვედიც, მაგრამ ჩეხებს სხვა წამყვან გუნდებთან შედარებით ერთი ნაკლიც აქვთ — ნახევარმცველთა შორის გამთამაშებელი არ ჩანს.

ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე, ბერგერი პირველ და მეორე შეხვედრებს გამოტოვებს — იგი ფარერებთან შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს. „ლივერპულის“ ნახევარმცველი ახლა იმედოვნებს, რომ ტომაშ რეპკას ბედს არ გაიზიარებს. შეგახსენებთ, რომ იმავე ინციდენტისთვის დასჯილი რეპკა, ევრო 96-ის გუნდში ვერ მოხვდა, მაგრამ „სლავიას“ და „დორტმუნდის“ ყოფილი მოთამაშე ბერგერი, რომელიც ბოლო წლებში „ენფილდ როუდს“ მოერგო, ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა შინ დასატოვებლად.

**დუშან ბუჩანეკი, როიტერი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გერმანია. ბუნდესლიგა. მე-15 ტური | | | |
| | 10 დეკემბერი | | | |
| 011 | ვერდერი-უნტერჰახინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 012 | არმინია-დუისბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 013 | ჰანზა-ბაიერნი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 014 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 015 | მიუნხენი-შალკე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 016 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 017 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 018 | ულმი-კაიზერსლაუტერნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 019 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-15 ტური | | | |
| | 10 დეკემბერი | | | |
| 020 | ბერლინი-მაინცი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 021 | კიოლნი-ალემანია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 022 | კიკერსი-ქემნიცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 023 | ფიურტი-ჰანოვერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 024 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 025 | ზანქტ პაული-კოტბუსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 026 | მიონხენგლადბახი-ფორტუნა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 027 | ოფენბახი-ვალდჰოფი (17$^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 028 | ობერჰაუზენი-კარლსრუე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ინგლისი. II დივიზიონი. მე-21 ტური | | | |
| | 10 დეკემბერი | | | |
| 029 | ბრენტფორდი-ჩესტერფილდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 030 | როვერსი-კოლჩესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 031 | ნოტსი-ბორნმუთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 032 | უიკომბი-მილუოლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ინგლისი. III დივიზიონი. მე-21 ტური | | | |
| | 10 დეკემბერი | | | |
| 033 | საუთენდი-ბარნეტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 034 | ბრაიტონი-როჩდეილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 035 | ჩელტენემი-მაკლსფილდი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 036 | ჰალიფაქსი-როტერჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 037 | ჰარტლპული-სუონსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 038 | მენსფილდი-იორკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 039 | შრიუსბერი-ნორთჰემპტონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-19 ტური | | | |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 040 | ლე ავრი-ნანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 041 | რენი-ლიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 042 | ტრუა-ბორდო | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 043 | მონპელიე-სტრასბური | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 044 | სედანი-ოსერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 045 | ბასტია-მონაკო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 046 | მეცი-პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 047 | სენტ ეტიენი-მარსელი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 14 დეკემბერი | | | |
| 048 | ლანსი-ნანტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | საფრანგეთი. II დივიზიონი. 22-ე ტური | | | |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 049 | ნიმი-გენგამი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 050 | კრეტეი-ლავალი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 051 | ლე მანი-კაენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 052 | ნიორი-კანი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 053 | ვასკეალი-ვალანსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 054 | ტულუზი-ლორიანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 055 | ლუანი-გენიონი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 056 | შატორუ-სოშო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 057 | აიაჩო-ლილი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 058 | ნიცა-ამიენი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | იტალია. სერია "ა". მე-13 ტური | | | |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 059 | მილანი-ტორინო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 060 | ლეჩე-ბარი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 061 | ბოლონია-რომა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 062 | ლაციო-ფიორენტინა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 063 | პიაჩენცა-პერუჯა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 064 | რეჯინა-კალიარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 065 | უდინეზე-ვერონა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 066 | ვენეცია-პარმა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 067 | იუვენტუსი-ინტერი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | იტალია. სერია "ბ". მე-15 ტური | | | |
| | 10 დეკემბერი | | | |
| 068 | ემპოლი-ატალანტა | 2,9 | 2,6 | 2,4 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 069 | ალძანო-ნაპოლი | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 070 | ჩეზენა-მონცა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 071 | კიევო-რავენა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 072 | ფერმანა-კოზენცა | 2,8 | 2,6 | 2,5 |
| 073 | პისტოიეზე-ტრევიზო | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 074 | სალერნიტანა-ვიჩენცა | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 075 | სამპდორია-პესკარა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 076 | სავოია-ტერნანა | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| | 13 დეკემბერი | | | |
| 077 | ბრეშა-ჯენოა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| | იტალია. სერია "ც1/ა". მე-14 ტური | | | |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 078 | ალბინოლეფე-ჩიტადელა (17$^{30}$) | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 079 | კარარეზე-ლუმეცანე (17$^{30}$) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 080 | კრემონეზე-პიზა (17$^{30}$) | 2,8 | 2,6 | 2,5 |
| 081 | ლეკო-ლუკეზე (17$^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 082 | ლივორნო-მოდენა (17$^{30}$) | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 083 | მონტევარკი-კომო (17$^{30}$) | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 084 | რეჯანა-ვარეზე (17$^{30}$) | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 085 | სანდონა-ბრეშელო (17$^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 086 | სპალ-რავენა (17$^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| | იტალია. სერია "ც1/ბ". მე-14 ტური | | | |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 087 | ასკოლი-სტაბია (17$^{30}$) | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 088 | აველინო-დი სანგრო (17$^{30}$) | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 089 | ბენევენტო-ნოჩერინა (17$^{30}$) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 090 | კატანია-ფ.ანდრია (17$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 091 | კროტონე-გუალდო (17$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 092 | ჯულიანოვა-ატლეტიკო (17$^{30}$) | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 093 | ლოდიჯანი-ვიტერბეზე (17$^{30}$) | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 094 | მარსალა-არეცო (17$^{30}$) | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| 095 | პალერმო-ანკონა (17$^{30}$) | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| | ესპანეთი. I დივიზიონი. მე-15 ტური | | | |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 096 | სევილია-ბარსელონა | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 097 | ალავესი-ბეტისი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 098 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 099 | რასინგი-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 100 | სარაგოსა-ნუმანსია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 101 | სელტა-ბილბაო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 102 | სოსიედადი-დეპორტივო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 103 | რაიო ვალეკანო-მალაგა (15$^{00}$) | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 104 | ატლეტიკო-ვალენსია | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 105 | მალიორკა-ოვიედო | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| | ესპანეთი. II დივიზიონი. მე-18 ტური | | | |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 106 | ოსასუნა-ლევანტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 107 | სალამანკა-ალბასეტე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 111 | ატლეტიკო "ბ"-სპორტინგი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 112 | კომპოსტელა-ვილიარეალი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 114 | ლას პალმასი-ეიბარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 115 | ლოგრონიესი-ხეტაფე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 108 | ლეგანესი-ტენერიფე (15$^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 109 | ტოლედო-ესტრემადურა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 110 | მერიდა-უელვა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 113 | კორდობა-ელჩე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 116 | ლეიდა-ბადახოსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | პორტუგალია. მე-14 ტური | | | |
| | 10 დეკემბერი | | | |
| 117 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 118 | ამადორა-ალვერკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 119 | ჟილ ვისენტე-ბოავიშტა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 120 | სალგეირუში-ბელენენსეში | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 121 | სპორტინგი-რიუ ავე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 122 | ფარენსე-ბრაგა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 123 | სანტა კლარა-კამპომაიორენსე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 13 დეკემბერი | | | |
| 124 | ბენფიკა-ლეირია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 125 | სეტუბალი-პორტუ | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | ჰოლანდია. მე-16 ტური | | | |
| | 10 დეკემბერი | | | |
| 126 | ალკმაარი-სიტარდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 127 | კამბური-სპარტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 128 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 129 | როდა-გრააფსხაპი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 130 | დენ ბოსხი-ვიტესი (17$^{30}$) | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| 131 | ვალვაიკი-მაასტრიხტი (17$^{30}$) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,4 |
| 132 | უტრეხტი-პსვ (17$^{30}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 133 | ჰერენვენი-ფეიენოორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ბელგია. მე-17 ტური | | | |
| | 11 დეკემბერი | | | |
| 134 | სენტ ტრუიდენი-ლომელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 135 | ლოკერენი-ლიერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 136 | ბეერსხოტი-ბევერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 137 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 138 | მეხელენი-გენკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 139 | ვესტერლო-გენტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 140 | ბრიუგე-გეელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 141 | აალსტი-მუსკრონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 142 | ჰარელბეკე-სტანდარდი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | საბერძნეთი. მე-11 ტური | | | |
| | 12 დეკემბერი | | | |
| 143 | კალამატა-აპოლონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 144 | ოლიმპიაკოსი-პანილიაკოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 145 | კავალა-პანიონიოსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 146 იონიკოსი-ირაკლისი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 147 ტრიკალა-პროდეფტიკი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 148 არისი-ეთნიკოსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 149 აეკ-პანაჰაიკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 150 ოფი-პანათინაიკოსი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 151 პაოკ-ქსანთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| თურქეთი. მე-12 ტური | | | |
| 10 დეკემბერი | | | |
| 152 ადანა-დენიზლი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 11 დეკემბერი | | | |
| 153 გიოზთეფე-ფენერბაჰჩე | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 155 ისთანბული-სამსუნი ($16^{00}$) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 12 დეკემბერი | | | |
| 154 ტრაბზონი-ქოჯაელი ($15^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 156 ანკარაგიუჯუ-ვანი ($15^{30}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 157 გაზიანთეფი-ალთაი ($15^{30}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 158 ბურსა-ერზურუმი ($16^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 159 გალათასარაი-ბეშიქთაში | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 160 ანთალია-გენჩლერბირლიგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შოტლანდია. მე-18 ტური | | | |
| 11 დეკემბერი | | | |
| 161 აბერდინი-სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 162 ჰიბერნიანი-მოზერველი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 163 რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 164 სენტ ჯონსტონი-ჰართსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 12 დეკემბერი | | | |
| 165 დანდი იუნაიტედი-დანდი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| შვეიცარია. 22-ე ტური | | | |
| 12 დეკემბერი | | | |
| 166 ბაზელი-აარაუ ($17^{30}$) | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 167 გრასჰოპერი-ლუცერნი ($17^{30}$) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 168 ლუგანო-დელემონი ($17^{30}$) | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 169 ქსამაქსი-ციურიხი ($17^{30}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 170 სენტ გალენი-სერვეტი ($17^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 171 ივერდონი-ლოზანა ($17^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ინგლისის თასი. მესამე ეტაპი | | | |
| 10 დეკემბერი | | | |
| 172 კემბრიჯი-კრისტალ პალასი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 173 ნოტინგემი-ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 11 დეკემბერი | | | |
| 174 ექსეტერი-ევერტონი ($17^{00}$) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 175 ასტონ ვილა-დარლინგტონი ($17^{00}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 176 ბოლტონი-კარდიფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 177 ჩარლტონი-სუინდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 178 ქრიუ-ბრედფორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 179 დერბი-ბარნლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 180 ფულემი-ლუთონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 181 გრიმსბი-სტოკპორტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 182 ჰალი-ჩელსი | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 183 ნორვიჩი-ქოვენთრი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 184 პრესტონი-ოლდემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 185 ქუინზ პარკი-ტორკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 186 რედინგი-პრიმუთი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 187 უენსდი-ბრისტოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 188 სანდერლენდი-პორტსმუთი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 189 ტრანმერი-ვესტ ჰემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 190 უოლსოლი-ჯილინგემი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 191 უოტფორდი-ბირმინგემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 192 ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 193 უიმბლდონი-ბარნსლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 194 რექსჰემი-მიდლსბრო | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 195 უიგანი-ვულვერჰემპტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 12 დეკემბერი | | | |
| 196 ჩესტერი-მანჩესტერ სიტი ($17^{00}$) | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 197 ჰადერსფილდი-ლივერპული | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 198 ლიდსი-პორტვეილი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 199 ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 13 დეკემბერი | | | |
| 200 არსენალი-ბლეკპული | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 201 იფსვიჩი-საუთჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

## ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია. XV ტური | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |
| იტალია. XIII ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XV ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია. XIV ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ბელგია. XVII ტური | 27 და ნაკლები | 1,9 | 29 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი. XI ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |

| | | | |
|---|---|---|---|
| კალათბურთი. NBA | | | |
| 10 დეკემბერი | | | |
| 854 ბოსტონი-ჰიუსტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 855 ნიუ იორკი-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 856 შარლოტი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 857 ატლანტა-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 858 ტორონტო-მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 859 დეტროიტი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 860 ინდიანა-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 861 ჩიკაგო-ნიუ ჯერსი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 862 იუტა-სიეტლი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 863 საკრამენტო-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 11 დეკემბერი | | | |
| 864 ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 865 ფილადელფია-შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 866 ორლანდო-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 867 კლივლენდი-ატლანტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 868 ინდიანა-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 869 მილუოკი-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 870 მინესოტა-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 871 დალასი-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 872 სან ანტონიო-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 873 საკრამენტო-პორტლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 874 სიეტლი-მაიამი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 875 ვანკუვერი-ლეიკერსი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 12 დეკემბერი | | | |
| 876 ნიუ იორკი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 877 ტორონტო-იუტა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 878 ლეიკერსი-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 13 დეკემბერი | | | |
| 879 კლიპერსი-ვანკუვერი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| ჰოკეი. NHL | | | |
| 10 დეკემბერი | | | |
| 880 ბუფალო-ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 881 ტამპა ბეი-კაროლინა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 882 დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 883 ნეშვილი-სენტ ლუისი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 884 დალასი-ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 885 კალგარი-ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 886 ანაჰაიმი-კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 887 სან ხოსე-ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 11 დეკემბერი | | | |
| 888 ნიუ ჯერსი-ედმონტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 889 ოტავა-აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 890 ბოსტონი-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 891 ტორონტო-ფილადელფია | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 892 მონრეალი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 893 პიტსბურგი-ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 894 ნეშვილი-ფლორიდა | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 895 სენტ ლუისი-დალასი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 12 დეკემბერი | | | |
| 896 ანაჰაიმი-ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 897 ჩიკაგო-კალგარი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 898 ვანკუვერი-კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 13 დეკემბერი | | | |
| 899 ვაშინგტონი-მონრეალი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 900 ბოსტონი-ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 901 ტორონტო-ოტავა | 1,6 | 4,4 | 2,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს [illegible] მული სპორტული შეჯიბრების შედეგი. [illegible] ბში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# შტეფი ჯილდოებს აგროვებს



ხუან ანტონიო სამარანჩი შტეფი გრაფს აჯილდოებს

ამ ზაფხულში სპორტიდან წასვლის შემდეგ ლეგენდარულ გერმანელ ჩოგბურთელ შტეფი გრაფს ლამის ყველა არსებული ჯილდო უწყალობეს. ორშაბათს კი 22 დიდი სლემის ტურნირისა და 1988 წლის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონს უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოც ერგო.

შვეიცარიულ ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გრაფს ოლიმპიური ორდენი გადასცა. „მან გვიჩვენა ჩვენ, მსოფლიოს ყველა სპორტსმენს, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი ჩემპიონი“ — განაცხადა ოლიმპიურ მუზეუმში გამართულ ცერემონიალზე სამარანჩმა.

პასუხი არც გრაფს დაუგვიანებია: „ოლიმპიური თამაშები ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის და მეამაყება, რომ მათში ვმონაწილეობდი. უსაზღვროდ გამიხარდა, როდესაც ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ 1984-ში ჩოგბურთი ისევ ჩართეს ოლიმპიადის პროგრამაში.“

1984-ში ლოს ანჯელესში საჩოგბურთო ტურნირი მხოლოდ საჩვენებელი იყო, სამაგიეროდ, ოთხი წლით გვიან, სეულში, უკვე მედლებიც გათამაშდა და ყველა დროის, ალბათ, საუკეთესო ჩოგბურთელმა სეზონში მოგებულ ოთხივე დიდი სლემის ტურნირს ოლიმპიური ოქროც მიუმატა.

გრაფმა ისიც აღნიშნა, ძალიან მეწყინა, ბოლო ოლიმპიადაზე რომ ვერ ვიასპარეზეო: „1996 -ში ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ მუხლის ტრავმის გამო ატლანტაშიც ვერ წავედი.“

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში პენსიზე გავიდა, შტეფი უსაქმურად არც ამჯერად არის. ბოლო კვირებში ბოიფრენდ ანდრე აგასის სხვადასხვა ტურნირზე თანხლებამ მას, ეტყობა, თამაშის სურვილი ისევ გაუჩინა და ორდენის მიღებიდან მეორე დღეს გრაფი უკვე სამხრეთ აფრიკას ეწვია.

შავ კონტინენტზე გერმანელმა თავისი გამოსათხოვარი ტური დაიწყო, რომლის დროსაც სხვადასხვა ქვეყანაში საჩვენებელ შეხვედრებს გამართავს ცნობილ ჩოგბურთელებთან. ამჯერად შტეფის მეტოქე იქაური ამანდა კუტცერი იყო, რომელიც ერთი ხანობა 1997-ში მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს სისხლს უშრობდა.

30 წლის გრაფმა, რომელსაც, მისივე თქმით, სამი თვეა, ხეირიანად არც უვარჯიშია, ჩია მეტოქეს ორ სეტში 6:3, 7:6 (7:3) მოუგო. ამით პირად შეხვედრათა ანგარიში 12:3 გახდა გერმანელის სასარგებლოდ.

გრაფი, რომელმაც მატჩის დაწყებამდე ადგილობრივ პატარებს პატარა საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა, კუტცერს კიდევ ორჯერ, კეიპტაუნსა და იოჰანესბურგში შეხვდება.

# შიშველი ზეიმი

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ კარგად მოეხსენება, რომ ავსტრალიელებს მოგებასთან ერთად ზეიმიც არანაკლებ ეხერხებათ. აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვება პატრიკ რაფტერმა იმავე საღამოს შამპანურის წვიმით, ტორტების ომითა და ლამაზი გოგონების მიწვევით აღნიშნა. იგივე რაფტერი და მარკ ფილიპუსისი 1997-ში დევისის თასის მატჩის მოგების შემდეგ ისე გამოთვრნენ, მეორე დილით ფეხზე გაჭირვებით იდგნენ.

გამონაკლისი არც დევისის თასის ფინალი გამოდგა, რომელშიც კვირას ოზებმა ფრანგებს 3:2 სძლიეს. ვაკხანალია ამჯერადაც გაიმართა, შამპანურისა თუ რჩეული ფრანგული ღვინის უამრავ ბოთლს მოძვრა საცობი და განსხვავებულიც ბლომად შეისვა. სადღეგრძელოებისა და ვახტანგურების შესახებ არაფერს იტყობინებიან, სამაგიეროდ, მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ გვარიანად შექეიფიანებული ჩოგბურთელები გაშიშვლდნენ და მცირე დისკოთეკა მოაწყეს.

ავსტრალიურმა ყოველდღიურმა გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ სულაც პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ფინალის გმირის, მარკ ფილიპუსის სურათი, რომელიც ბარის დახლზე წელს ზევით შიშველი ასევე მოშილიფებულ „წვეულების სტუმარ გოგონასთან“ ერთად ცეკვავს.

„სკადის“ საქციელი ბევრმა არ მოიწონა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი კრიტიკა თავად გაზეთს დაატყდა თავს მსგავსი სურათით სპეკულაციისთვის:

„ვფიქრობ,-პრესას წვეულებეზე საერთოდ აღარ დავპატიჟებთ, რადგან ამას უარყოფითი შედეგები მოჰყვება-ხოლმე“ — განაცხადა დევისის თასის გუნდის კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა, რომელმაც ფილიპუსისი დაიცვა, პირველებმა მაისურები ფრანგმა ჩოგბურთელებმა გაიხადესო“.

„იგი მხოლოდ მაგიდაზე შეხტა, საჩოთირო არაფერი გაუკეთებია... რა არის ამაში ცუდი? ჩვენ, ავსტრალიელებს, გვჩვევია რაიმე მნიშვნელოვანის მიღწევის შემდეგ დიდი ზეიმის მოწყობა. ამიტომ ასეთი ფაქტებს ჩვეულებრივად, მიმტევებლურად აღვიქვამთ. ვფიქრობ, თანამემამულეთა უმეტესობა დამეთანხმება“.

თავად ნიუკომბი დიდი ხნის მეგობარ-მეწყვილე გუნდის მწვრთნელ ტონი როუჩთან ერთად მომავალი სეზონის ბოლოს თანამდებობიდან გადადგომას აპირებს.

„ჩვენი აზრით, ეს შესაფერისი დრო იქნება იმისათვის, რათა მომავალ თაობას ესტაფეტა გადავცეთ“ — აღნიშნა როუჩმა, რომელიც ჩვეულებრივ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს.

ნიუკომბსა და როუჩს სურთ, მეტი დრო დაუთმონ ახალი ვარსკვლავების აღზრდის საქმეს და ამჟამად ტრამვირებულ პატრიკ რაფტერს დიდი სლემის ტურნირებისთვის მზადებაში დაეხმარონ. მათ შემცვლელებად კი, როგორც ამბობენ, ყოფილი პროფესიონალი მოთამაშეები, ჯონ ფიცჯერალდი და უელი მაზური ჰყავთ შეგულებული.

თუმცა მანამ ნიუკომბი გაისადაც მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მოგებას გეგმავს: „კენჭისყრამ გაგვიმართლა პირველ წრეში სტუმრად შვეიცარიელებს ვხვდებით და თუ მათ გავცდებით, შემდეგი მატჩები, წესით, შინ უნდა ჩავატაროთ. ფინალში შეიძლება სულაც აშშ-ს შეხვდეთ აგასითა და სამპრასით, რასაც მოუთმენლად ველით“.

აი, კონტინენტის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ სიდნეიში კი ჩემპიონ გუნდს მოუთმენლად სულაც არ ელიან. დევისის თასის მოგების აღსანიშნავად ავსტრალიის ოთხ ქალაქში წლის ბოლომდე აღლუმების მოწყობა იყო დაგეგმილი, ჩოგბურთელებს ვერცხლის ჯილდო ქუჩებში უნდა ჩამოეტარებინათ. მაგრამ როგორც ორიოდ დღის წინ გაირკვა, სიდნეიმ ამ პატივზე „გადაღლილობის“ გამო უარი თქვა — წლეულს ქალაქი აღლუმებით უკვე გაუმასპინძლდა რაგბისა და კრიკეტის მსოფლიოს ჩემპიონ გუნდებს.

„ეს მათი მიღწევის მნიშვნელობას სულაც არ აკნინებს. უბრალოდ, ქალაქის კიდევ ერთხელ გადაკეტვა მეტისმეტი იქნება, მით უმეტეს, საშობაოდ ჩვენთან ისედაც ხალხმრავლობაა. ასეთი აღლუმები, პოლიციისა და გასუფთავების ხარჯების გამოკლებით, 40-50 ათასი დოლარი გვიჯდება“ — განაცხადა სიდნეის ქალაქის საბჭოს წარმომადგენელმა ჯეფრი უილიამსმა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ



მარკ ფილიპუსისი შამპანურით წუწაობს



ჯონ ნიუკომბი



ეროვნული ბიბლიოთეკა

17 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. სსჟა ზუსტად 40 წლის წინ, 1959 წელს შეიქმნა, თუმცა დამოუკიდებელი ორგანიზაციის სტატუსით 1991 წლიდან არსებობს. აქედან მოყოლებული, ასოციაციის პრეზიდენტის პოსტი ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ უკავია

# საქმე, რომელიც უნდა გაკეთდეს

**— ბატონო ელგუჯა, კონფერენციაზე რა საკითხებს განიხილავთ?**

— დღის წესრიგი პრესაში უკვე გამოვაქვეყნეთ, თუმცა, თუ კონფერენციის დელეგატები მოისურვებენ, შესაძლოა კორექტივებიც შევიტანოთ. უმთავრესი, ცხადია, ასოციაციის აღმასკომის ანგარიში იქნება — რა გავაკეთეთ ერთი წლის მანძილზე, რისი გაკეთება ვერ მოხერხდა. შემდეგ მოვისმენთ სარევიზიო კომისიის ანგარიშს, განვიხილავთ წესდებაში შესატან ცვლილებებს, პრემიებს გადავცემთ ჩვენი კონკურსების ლაურეატებს. ბოლოს გაიმართება ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები...

**— მოდით, ამავე თანმიმდევრობით მივყვეთ: რისი გაკეთება შეძელით კონფერენციიდან კონფერენციამდე?**

— საგაზეთო ინტერვიუში დეტალებზე საუბარი, ალბათ, არ ღირს და მკითხველისთვისაც ნაკლებსაინტერესო იქნება. ამას უშუალოდ კონფერენციაზე გავაკეთებ. ასოციაციის უმთავრესი დანიშნულება, მოგეხსენებათ, პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტთა ინტერესების და საავტორო უფლებების დაცვა, მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებაა. ყველა ჩვენი ძალისხმევა, უწინარესად, სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვენი შეხვედრები სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, შეჯიბრებათა ორგანიზატორებთან, სპორტული ბაზების დირექტორებთან, აგრეთვე პრესკონფერენციები, დიალოგები, განცხადებები, მიმართვები, კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ჩვენს უცხოელ კოლეგებთან, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციასთან...

**— ალბათ, ცალკე უნდა ითქვას საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და სპორტის მოღვაწეების დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც თქვენი ინიციატივით მოეწყო.**

— როცა ეს საქმე წამოვიწყეთ, რა თქმა უნდა, კარგად ვიცოდით, რომ მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მისია ვიკისრეთ. ისიც კარგად მესმოდა, რომ მომდურავნი და მოქილიკენიც გამოჩნდებოდნენ. მაგრამ ეს საქმე გასაკეთებელი იყო. ავდექით და გავაკეთეთ. რა და როგორ გამოგვივიდა, ამას ჩვენზე უკეთ სხვები შეაფასებენ. ერთს კი ვიტყვი: ამ საქმეს შეიძლება ბევრი რამ დააკლდა, მაგრამ გული და სული ნამდვილად არა. ნაცნობები თუ უცნობები დღემდე გვირეკავენ და მადლობას გვეუბნებიან. გუშინწინ ცხონებული ანზორ ლეჟავას ახლობლები გვესტუმრნენ მადლობის სათქმელად... ამაზე დიდი შეფასება რაღა უნდა იყოს?! ამის შემდეგ ნაკლებად გვაინტერესებს, რას ამბობს რომელიღაც ჩინოვნიკი, რომელიც ყველაფერს საკუთარი სკამის სიმაღლიდან ზომავს.

**— კონფერენციას დავუბრუნდეთ, ასოციაციის წესდებაში რა ცვლილებები შეგაქვთ?**

— ცვლილება წესდების იმ ნაწილს შეეხება, სადაც ასოციაციის წევრის სტატუსზეა საუბარი. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციამ რეკომენდაცია მისცა თავის წევრ ეროვნულ ორგანიზაციებს, უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბონ პროფესიონალი სპორტული ჟურნალისტის სტატუსი, აგრეთვე შეიმუშაონ და პატივი სცენ ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

**— პრემიების თაობაზე რას გვეტყვით? არიან ლაურეატები?**

— ამ დღეებში გამართულ აღმასკომის სხდომაზე ლაურეატები კი გამოვავლინეთ, მაგრამ მათ უშუალოდ კონფერენციაზე დავასახელებთ და ჯილდოებსაც გადავცემთ. მოგეხსენებათ, ასოციაცია ყოველწლიურად გასცემს ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიას, პერიოდულად — მიხეილ კაკაბაძის სახელობისას. ამჯერად ორივე პრემიას ეყოლება ლაურეატი...

**— ზემოთ თქვით, გაკეთებულ საქმეებზე დეტალურად უშუალოდ კონფერენციაზე ვისაუბრებთო... იქნებ ახლა იმაზე გვითხრათ, რაც ვერ გააკეთეთ.**

— დამერწმუნეთ, ამას გაცილებით მეტი დრო და საგაზეთო ადგილი დასჭირდება. ყველაფერს კონფერენციაზე გავარკვევთ. იმედი მაქვს, რომ პირდაპირი და გულახდილი საუბარი გვექნება, კოლეგებს, გამოცდილებს და შედარებით ახალგაზრდებსაც, სათქმელი დაუგროვდათ, კონფერენცია კი აზრთა გაზიარების საუკეთესო ადგილია.

**— კრიტიკას როგორ უყურებთ?**

— კრიტიკულად.

**— სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და სპორტული ორგანიზაციები. რა ურთიერთობა გაქვთ მათთან?**

— სხვადასხვანაირი, ძირითადად საქმიანი. ყველასთან ვერ იმეგობრებ, მაგრამ თანამშრომლობაც აუცილებელია. გული მწყდება, რომ ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ზოგჯერ, შემხვედრი ნაბიჯი არ მოსდევს. ეგ კი არა, მგონი, ზოგიერთმა ორგანიზაციამ ჩვენი არსებობის შესახებ არაფერი იცის. ეს, ალბათ, ჩვენი ბრალიც არის... თუ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებთ, მოწესრიგებული შეიძლება ვუწოდოთ ჩვენს ურთიერთობას ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან. იმედი მაქვს, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობაც იგივე აზრისაა.

**— ბოლოს არჩევნებზეც გკითხავთ. დღეისთვის რამდენი კანდიდატია ასოციაციის პრეზიდენტის პოსტზე?**

— წესდების თანახმად, მსურველებს კონფერენციამდე ორი კვირით ადრე უნდა წარმოედგინათ კანდიდატურები, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არავინ გამოჩენილა.

**— თქვენ თუ იყრით კენჭს?**

— აბა, ასოციაციას უპრეზიდენტოდ ხომ ვერ დავტოვებთ.

**— წესდება თუ გაძლევთ ამის უფლებას?**

— რასაკვირველია. ჩვენი წესდების ძირითადი პრინციპები სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის რეკომენდაციებიდან გამომდინარეობს. კანდიდატურის წამოყენება შეზღუდული არ არის.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

# სამარანჩს დიქტატორ-ტირანთა მეგობრობაშიც ამხელენ, ის კი გადადგომით იმუქრება

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გამეფებულ კორუფციასთან დაკავშირებული ერთწლიანი სკანდალური ისტორიის გამო კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ შესაძლოა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი ვადაზე ადრე მიატოვოს. მან ამის შესახებ განაცხადა ლოზანაში მდებარე სოკ-ის შტაბბინაში, სადაც გუშინ გასრულდა ამ ორგანიზაციის აღმასკომის სხდომა, შაბათ-კვირას კი იქვე გაიმართება მეტად მნიშვნელოვანი X სესია, რომელიც ოლიმპიური მოძრაობის რეფორმებს მიეძღვნება. ამიტომაც მთელი მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობით დაინტერესებულთა ყურადღება ახლა სწორედ ლოზანისკენაა მიპყრობილი.

მანამდე კი ის ვთქვათ, რომ სამარანჩმა ხაზგასმით აღნიშნა, პოსტიდან ვადაზე ადრე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავდგები, თუ ჩემს წინააღმდეგ სოკ-ის 20-25 წევრი გამოვაო (რაც ხმათა საერთო რაოდენობის 22-27 პროცენტია). საერთოდ კი კენჭისყრაში სოკ-ის 89 წევრი მიიღებს მონაწილეობას.

— მათგან 20 ან 25 თუ ჩემს წინააღმდეგ გამოვა, ეს სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დავრწმუნდე, ჩემი გადადგომის დრო დადგა — თქვა სამარანჩმა.

აღსანიშნავია, რომ სოკ-ის პრეზიდენტის სავარძლის დატოვების შემთხვევაში სამარანჩი ამავე ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტად დარჩება, რაც მხოლოდ ტრადიცია უფროა, ვიდრე მოვალეობა.

მანამდე კი სამარანჩი არჩეულია საერთაშორისო ოლიმპიური ასოციაციის საპატიო პრეზიდენტადაც, რომელიც 1995 წელს შეიქმნა. იგი 45 ქვეყნის ეროვნული ასოციაციების ოლიმპიელებს აერთიანებს. ამ ასოციაციას სათავეში უდგას ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში პალ შმიტი, რომელიც უნგრეთის ელჩია შვეიცარიაში. პალ შმიტი არის უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც, ხოლო 1983 წლიდან — სოკ-ის წევრი.

მაგრამ დავუბრუნდეთ სამარანჩის ყოფნა-არყოფნის საკითხს, რაც უკავშირდება ისევ და ისევ ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ სოლტ ლეიკ სიტიდან აგორებულ სკანდალს. შეგახსენებთ, იმისთვის, რომ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოეპოვებინა, ორგანიზატორები სოკ-ის წევრებისთვის და მათი ოჯახებისთვის ქრთამს არ იშურებდნენ. ისინი ქრთამის სახით ფულსაც იხდიდნენ, სოკელებსა და მათ ახლობლებს უნიშნავდნენ სტიპენდიებს, უნაზღაურებდნენ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს და უძღვნიდნენ უამრავ საჩუქარს, რათა გადამწყვეტ ეტაპზე მათ სოლტ ლეიკ სიტისთვის ხმა მიეცათ.



ავთანდილ ბუჩუკაშვილის ფოტო



ხუან ანტონიო სამარანჩი და მისი მეგობარი, ესპანეთის დიქტატორი ფრანკო

იმისთვის, რომ ამგვარი შემთხვევები აღარ განმეორდეს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა რეფორმატორთა ჯგუფი „სოკ-ი 2000“, რომელიც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველ ქალაქებს შერჩევის ახალ წესებს სთავაზობს.

„სოკ-ი 2000“-ის რეფორმატორთა მიზანი, როგორც ხვდებით, იმ სიბინძურის ჩამოწმენდაა, რომელიც გასული წლის ბოლოს სოლტ ლეიკ სიტის სკანდალმა ამ ორგანიზაციას მოსცხო. რეფორმატორებმა შეიმუშავეს 50 რეკომენდაცია, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი სოკ-ის წევრთა ვიზიტების მკაცრად განსაზღვრას ითვალისწინებს იმ ქვეყნებში, რომლებსაც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა სურთ.

სამარანჩი და კომპანია სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის სოკ-ის შელახულ იმიჯზე კი ზრუნავენ, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს. ვგულისხმობთ ჩვენს დასავლელ კოლეგებს, რომლებიც სამარანჩის ძველ ცოდვებს იხსენებენ. მაგალითად, „უოლ სტრიტ ჯორნალმა“ სამშაბათის ნომერში დასტამბა ვრცელი მასალა, რომელიც ასე დაასათაურა „სამარანჩის ფრანკოისტური წარსული“.

ამგვარი წარსულის შესახებ ცნობილმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა ენდრიუ ჯენინგსმა თავის დროზე ფრიად გახმაურებული წიგნებიც დაწერა. მათ შორისაა „ლორდები და რგოლები“.

— ესპანეთში ყოფნისას შევკრიბე 50-იანი წლების იქაური გაზეთების დიდი რაოდენობა, სადაც უხვად არის გენერალ ფრანკოს დიქტატურისადმი უკიდურესად ლოიალურად განწყობილი გამოჩენილი ბარსელონელი პოლიტიკოსის პუბლიკაციები და სურათები. ეს პოლიტიკოსი დღეს სოკ-ის პრეზიდენტია, — გვითხრა ჯენინგსმა — მადრიდში, კინოქრონიკის არქივში, წავაწყდი სოკ-ის პრეზიდენტ სამარანჩზე გადაღებულ კადრებს, ამ კადრებზე ასახულია ფაშისტურ ფორმაში გამოწყობილ დიქტატორ ფრანკოს წინაშე მუხლმოყრილი სამარანჩი. ბარსელონას სამოქალაქო მმართველობის იმ დროის ფაშისტურ არქივში მივაგენი საიდუმლო პოლიციის პატაკებსაც, რომლებიც ხუან ანტონიო სამარანჩის ფაშისტურ საქმეებზე ლაპარაკობს.

ჟურნალისტები [illegible] სამარანჩის მიერ ოლიმპიური ორდენებით დაჯილდოებულთა შორის არიან ღირსეულნიცა და ცნობილი დიქტატორები და ტირანებიც. მაგალითად, ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის დესპოტი ერიკ ჰონეკერი, რუმინელი ტირანი ნიკოლაე ჩაუშესკუ, ბულგარელი დიქტატორი ტოდორ ჟივკოვი, იაპონელი მილიარდერი იოშიტაკე ცუცუმი, ყოფილი იტალიელი პრემიერი ჯულიო ანდრეოტი, რომელიც ციხეშიც ჩააყუდეს, მაფიის წევრობისა და კონსპირაციული მკვლელობის ბრალდებით. ოქროს ორდენით დაჯილდოებულთა შორისაა პრეზიდენტი რო დე უ, ვისაც არმიაში გამეფებულ ცემა-ტყეპებში, მკვლელობებში და განსაკუთრებულ კორუფციებში მონაწილეობისთვის 22 წლით ვერის აბანოში უკრეს თავი.

ჩვენი კოლეგები ყოველივე ამას რომ იხსენებენ, იმასაც ამბობენ, სამარანჩმა ამ დიქტატორ-ტირანთათვის ოქროს ოლიმპიური ორდენები არ დაიშანა, ლეგენდარული ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონის ჯესი ოუენსისთვის კი ვერცხლის ჯილდოზე მეტი ვერ გაიმეტაო.

ახლა მართლაც რომ მძიმე დღეები უდგას საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. 1970 და 1980 წლის პოლიტიკური ბოიკოტებისა და 1988 წელს ბენ ჯონსონის დოპინგსკანდალის შემდეგ ეს ყველაზე დიდი კრიზისია, რომელიც მას და მის პრეზიდენტს თავს დაატყდა.

— კრიზისის დასაწყისში ვიგრძენი, რომ პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ამიტომ ჩემი ბედი, როგორც სოკ-ის პრეზიდენტისა, სოკ-ის წევრებს მივანდე, რადგან ამ პოსტზე სწორედ მათ ამირჩიეს — ამბობს სამარანჩი — როდესაც საკუთარ ბედს სესიის გადაწყვეტილებას ვანდობ, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სოკ-ის წევრების უმრავლესობა ჩემი საქმიანობით არ იყო კმაყოფილი, მაშინ უნდა გადავდგე, — თქვა სამარანჩმა.

79 წლის ესპანელს ასეთი ნაბიჯისკენ მოუწოდებს ჟურნალისტთა საკმაო ნაწილიც, თუმცა იგი ოპტიმისტურადაა განწყობილი და 2001 წლამდე სურს მანდატით მინიჭებული უფლების შენარჩუნება.

**გიგა გურასაშვილი**



8 დეკემბერი

**ბუფალო — ოტავა 0:0**

**დეტროიტი — ნეშვილი 6:3**

2:2 2:1 2:0

0:1 ჯონსონი 1'57 (4); 0:2 ჩელბერგი 5'35 (6); 1:2 ფიოდოროვი 17'27 (8); 2:2 ბუცაევი 18'30 (2); 2:3 ჯონსონი 31'49 (5); 3:3 აიზერმანი 35'26 (11); 4:3 ვერბიკი 39'59 (3); 5:3 ბუცაევი 43'18 (3); 6:3 რესტი 47'31 (3)

**რეინჯერსი — ედმონტონი 2:1**

0:0 1:0 0:1 1:0

1:0 ფლერი 23'18 (6); 1:1 სმიტი 44'31 (12); 2:1 გრეივსი 63'15 (8)

**დალასი — კაროლინა 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 ფრენსისი 14'39 (6); 1:1 ჰალი 31'30 (11); 2:1 კარბონო 58'22 (4)

**ფინიქსი — ფლორიდა 1:6**

1:1 0:0 0:5

1:0 ადამსი 9'42 (7); 1:1 პიტლიკი 16'27 (2); 1:2 ბურე 40'38 (11); 1:3 ჰედიკანი 42'10 (2); 1:4 ბურე 42'45 (12); 1:5 უიტნი 50'40 (10); 1:6 ბურე 59'39 (13)

**ანაჰაიმი — ვანკუვერი 2:2**

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 ნესლუნდი 6'32 (10); 1:1 პ. კარია 31'24 (13); 1:2 მაკოლტი 41'41 (4); 2:2 რუჩინი 45'27 (7)

**ლოს ანჯელესი — ატლანტა 4:0**

1:0 2:0 1:0

1:0 ჯ. ბლეიკი 12'04 (3); 2:0 მიურეი 22'39 (12); 3:0 გელი 25'32 (3); 4:0 რობიტაილი 56'36 (11)

**სან ხოსე — კოლორადო 4:2**

1:0 2:1 1:1

1:0 რიჩი 16'15 (6); 1:1 იელი 25'38 (5); 2:1 ნოლანი 29'12 (21); 3:1 სტიუარტი 38'21 (5); 3:2 ფუტი 55'25 (2); 4:2 ნოლანი 58'51 (22)

# შური ძალაა!

REUTERS ბუფალოდან



ბუფალო — ოტავა: სეზონში პირველი 0:0. ბუფალოს მეკარემ მარტინ ბირონმა და მცველმა ალექსეი ჟიტნიკმა ოტაველ ანდრეას დაკელს (10) არ გაატანინეს

მიხაილ შტალენკოვმა შური იძია და მერე როგორ! ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშეს მისი ყოფილი კლუბი, ფინიქსი უსამართლოდ მოექცა — ფლორიდაში შონ ბურკზე გაცვალა. ჰოდა, ამ კლუბების პირველივე შეხვედრას თურმე არა მარტო თავად მეკარე, ფლორიდელთა თავკაცი ტერი მიურეიც მოუთმენლად ელოდა. „სწორედ ამ დღისთვის დავგეგმე შტალენკოვის დებიუტი და მანაც ნდობა გამიმართლა“ — თქვა მწვრთნელმა. მართლაც, ახალწვეულმა ჰოკეისტმა ისე კარგად ითამაშა, ყოფილ პარტნიორებს პირველ ორ პერიოდში თავი ერთადერთხელ დააჩაგვრინა. აი, მესამე მესამედი კი შტალენკოვის სახელგანთქმული თვისტომის — პაველ ბურეს ბენეფისად იქცა. „რუსულმა რაკეტამ“ ერთ ოცწუთეულში იმდენი გაიტანა, რამდენიც მანამდე 7 მატჩში. ეს ჰეთ თრიქი უეჭველად დასწყვეტდა გულს ფინიქსელ ბობ ესენცას. გოლკიპერი დღემდე ერთადერთი იყო ლიგაში, ვისაც ჯერ თამაში არ წაეგო (+9=1-0).

უდიდესი ინტერესი გამოიწვია ძმები კარიების პირველმა ორთაბრძოლამ. უფროსმა, ანაჰაიმის სუპერვარსკვლავმა პოლმა, მორიგი, მე-13 გოლი გაიტანა, უმცროსი კი, ლიგის დებიუტანტი სტივი, ვანკუვერს პირველი გოლის გატანაში დაეხმარა. ასე რომ, კარიები, ისევე, როგორც მათი გუნდები, დაზავდნენ. თუმცა ოვერტაიმში პოლის დარტყმული შაიბა ძელს რომ არ მოხვედროდა, ეს დუელი იქნებ სხვაგვარად დასრულებულიყო.

ზედიზედ მეორედ მოიგო დამატებით დროში რეინჯერსმა. ისე, რომ არა მაიკ რიხტერი, ყველაფერი ჯერ კიდევ ძირითად დროში დამთავრდებოდა. ედმონტონელმა მეკარემ ოთხჯერ გააწბილა მასთან პირისპირ გასული მეტოქე. რიხტერს 12-მატჩიანი უგოლობა, როგორც იქნა, ტეო ფლერიმ (1+1) შეაწყვეტინა.

ამას წინათ ნეშვილთან მოულოდნელად დამარცხებულმა დეტროიტმა საპასუხო შეხვედრაში ლიგის ახალ ბინადარს კარგა ხანს ვერ ასწავლა ჭკუა, ის კი არა, მე-6 წუთამდე 0:2 აგებდა. თუმცა გამოცდილმა მასპინძლებმა თავისი მაინც გაიტანეს. უნდა აღინიშნოს ეგრეთ წოდებული გრინდ-ლაინის („შავი მუშები“) გარჯა. დრეიპერისა და მოლტბის არყოფნამ „წითელფრთიანთა“ თავკაცები აიძულა, ამ რგოლში დებიუტანტები გამოეყენებინათ. თუმცა, დღესდღეობით სკოტი ბოუმენი არც ნანობს. ახალბედებმა არა მარტო მეტოქეთა ლიდერები გააუვნებლეს, არამედ თავადაც იხეირეს — იური ბუცაევის (2+1), სტეისი რესტისა (1+2) და დერილ ლაპლანტის სამეულმა 3 შაიბა შეაგდო, ერთიც ტრავმამოშუშებულმა ფიოდოროვმა მიითვალა.

ახლა ნოლანზე ვთქვათ. სან ხოსეს კაპიტანი და ლიდერი კვლავ და კვლავ აოცებს გულშემატკივრებს. წლეულს ფორვარდი სრულიად გარდაიქმნა და რაც წინა ორ სეზონში ვერ გააკეთა, ახლა ინაზღაურებს. ბოლო 6 მატჩია, ნოლანი უგოლოდ არ ტოვებს ყინულს, ამჯერად კი ზედიზედ მეორე დუბლით ყოფილი თანაკლუბელები გაანაწყენა. შედეგიც შშვენიერია: 6-მატჩიანი გოლიანი სერია კლუბის ახალი რეკორდია, 22 გოლი და 43 ქულა კი ბომბარდირთა შორის უპირველესის მონაგარია. წინსვლაც ეს არის — ნოლანმა მთელ შარშანდელ სეზონში ხომ სულ 19 შაიბა გაიტანა. ვნახოთ, რით უპასუხებს მას პიტსბურგელი იარომირ იაგრი, რომლის შეფერხებამაც სანხოსელს პირველ საფეხურზე აღზევების შესაძლებლობა მისცა.

ბუფალოში სეზონის პირველი უგოლო მატჩი ჩატარდა. დალასმა კი, რომელიც ჩვეულ ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს, კაროლინას მხოლოდ 15-ჯერ დაარტყმევინა, ერთადერთხელ გაატანინა და, ცხადია, მოიგო კიდეც.

**სამველ ლარიბიანი**

# მსაჯები ნუ დაგავიწყდებათ!

## წერილი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას




მურმან ქურიძეს ბევრი ისეთი მატჩი უმსაჯია... თუნდაც კაუნასის „ჟალგირისი" — კიევის „სტროიტელი"

19 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო. იქ ქართული სპორტის ყველა დროის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. მანამდე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი რეფერენდუმი მოაწყო და იმ დღეს სწორედ ლაურეატთა და გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი შედგა.

რეფერენდუმის თაოსანმა და ორგანიზატორმა — სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ელგუჯა ბერიშვილმა და მისმა კოლეგებმა დიდი შრომა გასწიეს ღირსეულთა ღვაწლის დასაფასებლად, მაგრამ რატომღაც არ გაიხსენეს არბიტრები...

ბატონო ელგუჯა! თქვენ, სპორტული ჟურნალისტები, რომლებიც წლების მანძილზე თითქმის ყოველ წვრილმანს ხედავთ და სათანადო შეფასებას აძლევთ, რატომ ვერ ამჩნევთ არბიტრებს? გავრცელებულია აზრი, რომ მსაჯები შეუმჩნევლები უნდა იყვნენ, მაგრამ ეს ხომ სპორტული ასპარეზობის დროსაა სასურველი. მართალია, მაყურებელი პაექრობის სანახავად მოდის და არა მსაჯებისა, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად ხომ არ არის.

მწვრთნელი, სპორტსმენი, მსაჯი, უნდა დამეთანხმოთ, განუყოფელია. სპორტის ხელმძღვანელებმა ასეთი ტრადიცია შექმნეს — რადგან მსაჯები სპორტსმენების მსგავსად საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე მედლებს და ქულებს არ იღებდნენ, რათა თვითონ ეტრაბახათ, მათ მიმართ გულგრილნი იყვნენ. ასე გრძელდება ახლაც. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ჩემპიონატებს უკვე ფასი დაედო და მაღალკვალიფიციური მსაჯების როლიც წარმოჩინდა.

განა დაფასების ღირსნი არ არიან ის მსაჯები, რომლებიც, სპორტსმენებისგან განსხვავებით, რამდენიმე ათეული წელი შედიოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის 10 უძლიერეს არბიტრს შორის, რეგულარულად ატარებდნენ სპარტაკიადების, საკავშირო ჩემპიონატების, საერთაშორისო შეხვედრების ყველაზე პრინციპულ პაექრობებს. საბედნიეროდ, ჩვენ სპორტის მრავალ სახეობაში გვყავდა და, ვიმედოვნებ, კიდევ გვეყოლება ასეთი არბიტრები, რომელთაც ჩვენი ქვეყნის გარეთ რატომღაც უფრო აფასებდნენ, ვიდრე ჩვენთან.

მე მსაჯების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას ორმაგად განვიცდი როგორც მსაჯი და როგორც მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე. დღეს, როცა ჩვენთან მსაჯთა თაობების ცვლა მიდის, უფრო ჭირს ახალგაზრდა, პერსპექტიული არბიტრების მოზიდვა. თქვენ თვითონ განსაჯეთ — მსაჯებს შესაბამისად ვერ ვუხდით, ისინი დაუცველნი არიან და ამას ისიც ემატება, რომ მათ არ აფასებენ. მითხარით, როგორ მოვიწვიოთ ახალგაზრდები?

მადლობა ღმერთს, გამოჩნდა კალათბურთზე უზომოდ შეყვარებული რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც, ჩემი ღრმა რწმენით, ახლო მომავალში სასახელოდ გააგრძელებენ ესტაფეტას.

ბატონო ელგუჯა! არ შევუდგები იმის მტკიცებას, თუ რაოდენ რთულია მსაჯის პროფესია. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ იმ საღამოს ლაურეატთა შორის იყო რამდენიმე (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ), რომელთაც სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ თავი მსაჯების ამპლუაში სცადეს. ხომ ფაქტია, რომ ვერც ერთმა მათგანმა საშუალოზე მაღალ დონეს ვერ მიაღწია. ისინი დამიდასტურებენ: რომ იყო არბიტრი, თანაც მაღალი დონის, არ არის ადვილი, როგორც ბევრს ჰგონია.

მჯერა, თქვენ ყველაფერი გააკეთეთ საიმისოდ, რომ რეფერენდუმი ობიექტურად ჩატარებულიყო. ხომ საწყენი იყო, როცა ქალბატონმა ნანა ალექსანდრიამ განაცხადა, მეტი რის გაკეთება მოეთხოვებოდა მოჭადრაკეთა ნაკრებსო, ანდა ბატონმა ლევან თედიაშვილმა რომ თქვა სევდიანად, ჩემს ცხოვრებაში პირველად მივიღე ბრინჯაოს ჯილდოო. ისინიც ხომ თავის მხრივ მართლები არიან. აი, ასე მძიმე შეფასებას იმსახურებენ ხშირად არბიტრები მაშინ, როდესაც ისინი ყოველნაირად მართლები არიან. ხშირად მსაჯებს მესანგრეებს ვადარებ. მათ ერთ, თუნდაც უნებლიე შეცდომას არავინ აპატიებს მაშინ, როცა კარგი სპორტსმენი მატჩის განმავლობაში რამდენიმე უხეშ შეცდომას უშვებს, მაგრამ საკმარისია ერთი გაელვება და ამას ყველა ივიწყებს, მიუტევებს.

ბატონო ელგუჯა, რეფერენდუმის ორგანიზატორებო, სპორტულო ჟურნალისტებო, მე თქვენი ყველაზე მეტად მჯერა. დროა, მსაჯებიც დავაფასოთ, რათა მათი რიგები შეივსოს პატიოსანი, ვაჟკაცი, განსწავლული არბიტრებით, რათა სპორტმა სანახაობრივი მხარე არ დაკარგოს.

ვულოცავ რეფერენდუმში გამარჯვებულთ ესოდენ დიდ დაფასებას და ვიტოვებ იმედს, რომ XXI საუკუნეში მსაჯებსაც ხვდებათ წილად ეს პატივი.

**პატივისცემით, მურმან ქურიძე,**
**საერთაშორისო არბიტრი კალათბურთში, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე**

კალათბურთი

მას შემდეგ, რაც ირაკლი ვაშაკიძე რუსეთში გადაბარგდა და იქაური სუპერლიგის „სამარაში" თამაშობს, ქართველ მკითხველს მასზე არაფერი სმენია. ის, რომ სეზონის დასაწყისში ჩვენებურმა სწორედ სამარის გუნდს დაუკავშირა კარიერა, ამაზე ადრეც გვითქვამს, თუმც მასთან პირადად გასაუბრება აქამდე არ გვიხერხდებოდა და ოჯახის წევრებისგან თუ შევიტყობდითხოლმე რაიმეს ქართველ ლეგიონერზე.

არადა, ირაკლი ვაშაკიძე ეროვნული ნაკრების წევრია, ლიპარტელიანის თუ მოსეშვილის გუნდში თითქმის ყოველთვის მოიძებნებოდა მისი ადგილი...

რუსეთის სუპერლიგა ირაკლისთვის სულაც არ გახლავთ უცხო. იგი კარგად იცნობს იქაურ კალათბურთს, რუსეთში თამაშსაც კარგა ხნის წინ, მოსკოვის „სპარტაკში" ყოფნისას შეეჩვია. მერე კი...



ირაკლი ვაშაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაშაკიძე და სოკოლოვსკი

## მოსკოვური საღამოები სამარაში თამაშამდე

— „სპარტაკს" ძალიან გაუჭირდა ფინანსურად, მოთამაშეებს ფულს ვეღარ გვიხდიდნენ. მეც რაღა დამრჩენოდა, იქაურობა დავტოვე და ისრაელს მივაშურე.

**— ისრაელში ოთხი თვე დაჰყავით. იქიდან რატომღა წამოხვედით?**

— იქაც იგივე სიტუაცია შეიქმნა. ნათანიის გუნდში ჩავირიცხე თუ არა, ყველაფერი უკან-უკან წავიდა. თავიდან ხელფასებს აგვიანებდნენ, მერე საერთოდ აღარ გვაძლევდნენ.

**— თუ არ ვცდები, ისრაელური ვარიანტი მავანმა ებრაელმა აგენტმა გაგიხერხათ. იგი არ იყო პასუხისმგებელი ამაზე?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ მანაც გამიცრუა იმედები, მისი დაპირებები სულ ტყუილი აღმოჩნდა.

ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ მასთან საქმე დავიჭირე. ადრე, ნაკრების ისრაელში ყოფნისას, ამ პიროვნებას სამწლიანი კონტრაქტი გავუფორმე, რის საფუძველზეც მის დაუკითხავად ისრაელში თამაში არ შემეძლო.

**— ეს ხელშეკრულება დღემდე მოქმედებს?**

— ახლა გაუდის ვადა, მაგრამ ეს პრობლემა აღარაა. ებრაელთან უკვე შევწყვიტე კავშირი, რადგან მან კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები უკვე არაერთხელ დაარღვია.

**— მაშ, ისრაელიდან მოტყუებული დაბრუნდით...**

— შეიძლება ითქვას, ასეა, მაგრამ მაინც არ ვნანობ. იქ ბევრ ისეთ ხალხს შევხვდი, რომლებთან ნაცნობობაც ჩემს შემდგომ კარიერას აუცილებლად წაადგება. თუნდაც იმ გუნდის მწვრთნელი, სადაც ვთამაშობდი. იგი წამოსვლის დღემდე მთხოვდა, დარჩიო, ახლაც ხშირად მირეკავს, ჩამოდი, მდგომარეობა გამოსწორდაო, მეუბნება.

**— მერე, რას პასუხობთ?**

— იმას, რომ სეზონის ბოლომდე „სამარაში" ვრჩები. ამას წყალი არ გაუვა. მერე კი ვნახოთ. არ გამოვრიცხავ, კვლავ დავბრუნდე ისრაელში, თუმცა ეს მომავლის საქმეა.

**— ისრაელის მერე ერთხანს თბილისის „დინამოშიც" გიხილეთ. ეს ისე, სპორტული ფორმა რომ არ დაგეკარგათ?**

— მოსეშვილმა დახმარება მთხოვა და უარი არც მე მითქვამს. იმ დროს მაინც უკლუბოდ ვიყავი.

**— „სამარაში" როგორღა აღმოჩნდით?**

— როგორც მითხრეს, ამ გუნდის მწვრთნელს, ბორის სოკოლოვსკის „სპარტაკში" თამაშისას ვუნახივარ. წლეულს, როცა სამარელებმა გუნდის დაკომპლექტება დაიწყეს, გავხსენებივარ. თურმე მოსკოვში მეძებდა, მე კი მაშინ თბილისში ვიყავი. „სპარტაკის" ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და მითხრა, შენს სანახავად „სამარას" მწვრთნელია ჩამოსული, თუ უგუნდოდ ხარ, რაც შეგიძლია, მალე ჩამოდი მოსკოვში, სოკოლოვსკი გელოდებაო. ჩავედი, ენახე იგი, ვისაუბრეთ და ყველაფერზე შევთანხმდით. „სამარას" სეზონის ბოლომდე გავუფორმე კონტრაქტი.

**— ლეგიონერები კიდევ ჰყავთ?**

— არა, მარტო მე ვარ. დანარჩენები იქაურები არიან.

**— თამაში ხშირად გიწევთ?**

— საკმაოდ. ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი მაქვს, ოც-ოცდახუთ წუთს თითქმის ყოველთვის მოედანზე ვატარებ. მხოლოდ სამი შეხვედრა გამოვტოვე პირველ ტურებში, ისიც ტრავმის გამო, ფეხი მქონდა გადაბრუნებული.

**— რომელ ამპლუაში გათამაშებენ?**

— ყოველ მატჩში მწვრთნელები კონკრეტულ ფუნქციას მაკისრებენ. ხშირად ჩემს ამპლუაში, გამთამაშებლად ვარ, ხან მსროლელად, არცთუ იშვიათად ფრთაზე თამაშსაც მავალებენ.

**— კმაყოფილია თქვენი „სამარას" ხელმძღვანელობა?**

— ალბათ, ასე რომ არ იყოს, ნაკლებად მენდობოდნენ, ეგეც რომ არა, ამას მათთან ურთიერთობაშიც ვიგრძნობდი.

**— ესე იგი კლუბის თავკაცებთან ნორმალური დამოკიდებულება გაქვთ.**

— ნამდვილად ასეა, მათთანაც და მოთამაშეებთანაც თავიდანვე თავს კარგად ვგრძნობ. სოკოლოვსკიც ჩინებული ადამიანია, ამასთანავე მცოდნე და ძალიან მონდომებული სპეციალისტია, ერთი სიტყვით, თავისი საქმის პროფესიონალი.

**— „სამარა" დასავლეთ დივიზიონში ამჟამად მეოთხე ადგილზეა. შედეგით უკმაყოფილონი ხომ არ არიან?**

— სეზონის წინ მიზნად ათ საუკეთესოში მოხვედრა დაგვისახეს. აქედან გამომდინარე, კლუბის თავკაცობას უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეს.

**— რატომ მაინცდამაინც ათეულში მოხვედრა. ეს „სამარას" ნაკლებამბიციურობას ხომ არ უნდა მივაწეროთ?**

— სუპერლიგაში გუნდების შემცირება განიზრახეს. ამბობენ, მომავალ წელს ათი გუნდი დარჩებაო. ახლა ყველა იმას ცდილობს, როგორმე ათეულში შეაღწიოს და დაბალ ლიგაში არ დაქვეითდეს. ჩვენც ეს გვინდა, მაგრამ წარმატებული სტარტიდან გამომდინარე, უფრო კარგი პერსპექტივა გაგვიჩნდა და იქნებ საპრიზო ადგილებისთვისაც ვიბრძოლოთ.

**— ცსკა-ს, ალბათ, წლეულსაც ვერავინ შეეცილება ჩემპიონობას...**

— დანარჩენ გუნდებზე მართლაც ერთი თავით მაღლა დგას, მაგრამ ისეთი სიძლიერისაც აღარაა, ადრე რომ იყო. ბევრი მოთამაშე გაუშვეს სხვა კლუბებში, ვინც იყიდეს, ვერავინ უმართლებს. ეინიკისი რომ ეინიკისია, თამაშში ოთხ-ხუთ ქულას აგროვებს. ამიტომ, ვფიქრობ, გაუჭირდება ცსკა-ს ტიტულის შენარჩუნება, მინვოდის, სარატოვისა და ყაზანის გუნდებთან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება, მით უმეტეს, თუ სტუმრად თამაშობს.

**— როგორც წესი, საშობაოდ, ალბათ, თქვენც დაგითხოვენ.**

— ოცდაოთხში ბოლო თამაში გვაქვს. მერე ხუთ იანვრამდე თავისუფალი ვიქნები. ამის მერე მეორე ეტაპი დაიწყება. პლეი ოფი კი, თუ არ ვცდები, რვა მაისიდანაა დაგეგმილი.

**— არდადეგებს მანდვე გაატარებთ?**

— არა. თბილისში უნდა ჩამოვიდე, ძალიან მინდა, ახალ წელს მანდ შევხვდე და თუ ხელი არაფერმა შემიშალა, ასეც იქნება. თან ბავშვიც მოსანათლი მყავს, გავაქრისტიანებ და მერე უკანვე დავბრუნდები. აქამდე მარტო ვცხოვრობდი, ახლა ოჯახსაც ჩამოვიყვან და აქ გამოვიზამთრებთ.

**გიორგი ბიკაშვილი**

კრივი

# ტაისონი უკრაინელს შეხვდება



მაიკ ტაისონი

მაიკ ტაისონის ცხოვრებაში რაღაც გაირკვა. ყოველ შემთხვევაში, ერთი ბრძოლა მაინც დაიგეგმა. მომავალი წლის აგვისტოში ტაისონი გერმანიაში შეხვდება უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს, რომელიც გერმანიაშივე ცხოვრობს, კრივობს და მენეჯერიც გერმანელი ჰყავს. კლიჩკო ამერიკელთათვის არაფრისმთქმელი ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონია მძიმე წონაში. ბრძოლა ჰამბურგის საფეხბურთო სტადიონზე გაიმართება. სავარაუდოა, რომ იანვრისთვის დაგეგმილი ტაისონის გამოჩენა ევროპულ რინგზე აღარ შედგება და მაიკლიც სწორედ აგვისტოში იჩხუბებს მას შემდეგ, რაც ორლინ ნორისთან მორიგი ბითურობა ჩაიდინა და ბრძოლა შეუწყვიტეს 23 ოქტომბერს.

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 9 დეკემბერი

**B ჯგუფი**

თოფაში 74:78 ოლიმპია

**D ჯგუფი**

კახა სან ფერნანდო 79:59 ციბონა

**C ჯგუფი**

ულქერი 85:79 მაკაბი

ვარეზე 58:60 ვილერბანი

## კორაჩის თასი

მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები. 7-8 დეკემბერი

ოსტენდე (ბელგია) — არისი (საბერძნეთი) 75:65

აპოლონი (კვიპროსი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 56:91

ცსკა (უკრაინა) — ნანსი (საფრანგეთი) 74:73

ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) — ალიტა (ლიტვა) 88:61

იმოლა (იტალია) — ხირონა (ესპანეთი) 72:83

ლოკომოტივი (რუსეთი) — აეროპორტი (იტალია) 72:69

ლუგანო (შვეიცარია) — ნოგილესი (პოლონეთი) 60:71

მარუსი (საბერძნეთი) — ბორასი (შვედეთი) 89:74

ნიარ ისტი (საბერძნეთი) — პერისტერი (საბერძნეთი) 73:80

პეპსი (იტალია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 100:68

რეჯანა (იტალია) — უნიკახა (ესპანეთი) 67:74

ანტვერპენი (ბელგია) — შიაულიაი (ლიტვა) 69:66

ტელეკომი (თურქეთი) — ქარშიაქა (თურქეთი) 78:72

უნიქსი (რუსეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 64:86

ვაკალო (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი) 58:69

*საპასუხო მატჩები გაიმართება 15 დეკემბერს*

# დაამთავრა იქ, სადაც დაიწყო

## ბარკლის კარიერა დასრულდა

ჩარლზ ბარკლიმ, ბოლო თხუთმეტი წლის ნბა-ს ერთ-ერთმა საუკეთესო და გამორჩეულმა მოთამაშემ, კალათბურთს თავი დაანება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სერ ჩარლზს კალათბურთიდან წასვლა მოუხდა. ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, „ფილადელფია" — „ჰიუსტონის" მატჩის პირველი მეოთხედი იწურებოდა, როცა ბარკლიმ ფილადელფიელი ტაირონ ჰილისთვის დაფარება გადაწყვიტა. ახტომის შემდეგ, მოედანზე დაშვებისას, დაკარგა წონასწორობა, უხერხულად დაეცა და მარცხენა მუხლის მყესი გაუწყდა. თავისით ფეხზე წამოდგომაც კი ვერ შეძლო, თანაგუნდელები ამოუდგნენ მხარში და გასახდელამდე მიაცილეს. იქ ექიმებმა გასინჯეს და დიაგნოზიც დაუსვეს. უთხრეს, სულ მცირე, ექვს თვეს ვერ ითამაშებ, მერე კი ვნახოთო. ექვსი თვე კაცისთვის, რომელსაც მუდამ კალათბურთის თამაშის წყურვილი ჰკლავს, ძალიან ბევრია. ბარკლის რამდენჯერ უთქვამს, ბოლო სეზონს ვთამაშობო, მაგრამ ყოველთვის ჩვეული შემართებით ეგებებდა ახალ სეზონს. ახლა კი იძულებულია, ბედისწერას დაემორჩილოს. გასახდელში ცოლს დაუძახა და თქვა, ახლა კი საბოლოოდ მივდივარო.

ასე დასრულდა 36 წლის ღვაწლმოსილი ჩარლზ ბარკლის კარიერა, რომელიც 16 წელს ითვლის. თითქოს სიმბოლურიც იყო ის, რომ მან თავისი ბოლო შეხვედრა ფილადელფიურ ფიცარნაგზე ჩაატარა, იქ, სადაც დაიწყო მისი პროფესიული კარიერა 1984 წელს. „ფილადელფია" მისი პირველი გუნდი იყო. აქ სერ ჩარლზმა რვა სეზონი ითამაშა. „ღმერთი არასდროს უშვებს შეცდომებს. მან დაამთავრა იქ, სადაც დაიწყო" — ამბობდა მატჩის შემდეგ კალათბურთელის ბებია ჯონი მიკენსი, რომელიც შვილიშვილის თამაშის სანახავად მოსულიყო ჩარლზის დედასთან, ჩერსი გლენთან ერთად.

გასახდელიდან გამოსულმა ბარკლიმ, როგორც მოთამაშემ, ალბათ სიცოცხლეში უკანასკნელად დაარიგა ავტოგრაფები, შემდეგ დარბაზში შეკრებილ 19 ათას გულშემატკივარს მიესალმა და მადლობა უთხრა. რამდენიმე კაცმა, მათ შორის „ფილადელფია 76"-ის მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა და მისმა თანაშემწემ მორის ჩიკსმა, რომელიც ერთ დროს ბარკლის თანაგუნდელი გახლდათ, პირადად გამოუცხადა თანაგრძნობა და გულისტკივილი გამოთქვა, მისი ბრწყინვალე კარიერის ასე დასრულების გამო.

**ივანე კობიაშვილი**

REUTERS ფილადელფიიდან



ფილადელფია — ჰიუსტონი. ჩარლზ ბარკლის მტკივან მუხლს „ჰიუსტონის" ექიმი წამლობს

### რეგულარული ჩემპიონატი

# კალიფორნიაში ძალები გადანაწილდა

REUTERS სიეტლიდან



სიეტლი — მინესოტა. კევინ გარნეტი (მუქ ფორმაში) უფარებს სიეტლელ ვინ ბეიკერს

8 დეკემბერი

**სიეტლი 110:94 მინესოტა**

სიეტლი: პეიტონი (36 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ბერი (10), პატერსონი (7 ქულა, 11 მოხსნა), ბეიკერი (22 ქულა, 13 მოხსნა), ფოსტერი (7); დევისი (13), სტეფანია (6), ლუისი (5), მაკკოი (4), მაქსველი, ბორელი

მინესოტა: ბრენდონი (11 ქულა, 10 პასი), პილერი (11), შჩერბიაკი (16), გარნეტი (22 ქულა, 11 მოხსნა), სმითი (4); სილი (9), ჰემონდსი (7), მიტჩელი (7), აივერი (5), ნესტეროვიჩი (2), ჯეკსონი

ძნელი სათქმელია, რა გრძნობა ეუფლება ვლადიმერ სტეფანიას, როცა მისი ტანმაღალი თანაგუნდელები იმტვრევიან, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ქართველს სხვაგვარად იშვიათად უწევს თამაში. „სიეტლ სუპერსონიქსის" ძირითად ცენტრ ჰორას გრანტს მუხლს მცირე ტრავმა აქვს და უკვე მეორე თამაშია, ვერაფრით ეხმარება თავისიანებს. ამის გამო უკვე მეორე შეხვედრაა, „ზებგერითების" ქართველი ცენტრი თამაშობს. მართალია, მის მიერ ამ შეხვედრაში გატარებული შვიდი წუთი არცთუ ბევრია, მაგრამ სამაგიეროდ მშვენიერი შედეგია მისი ექვსქულიანი მონაგარი, მით უმეტეს, რომ გრეგ ფოსტერმა, რომელმაც გრანტის ადგილი დაიკავა, 34 წუთში მხოლოდ შვიდი ქულა გააკეთა. ქართველი, წინა მატჩისგან განსხვავებით, უკეთ ესროდა და ხუთი სროლიდან სამი ჩააგდო მაშინ, როცა წინათ ხუთივე ააცილა. სტეფანიამ ექვს ქულას ერთი მოხსნაც წაუმატა. ისე, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მომხსნელი, გრანტი, არ ჰყავდა, „სიეტლმა" მაინც დაჩაგრა მეტოქე ფარზე და 50:36 აჯობა მოხსნებში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სტეფანია მაინც არ ყოფილა თამაშის გმირი. ქართველს ჯერ კიდევ ბევრი აკლია იქამდე, რომ თვითონ გადაწყვიტოს შეხვედრის ბედი. ასეთი კი იმ დღეს ვინ იქნებოდა, თუ არა გერი პეიტონი, სიეტლელთა სული, გული, ლიდერი და ბომბარდირი. გერიმ თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა წლევანდელ სეზონში, საშინელ დღეში ჩააგდო მეურვე ტერელ ბრენდონი და მთლიანად მისი გუნდი. მას ორი ბურთით მეტი რომ მოეხსნა, სამმაგ დუბლს გამოჰკრავდა ხელს.

„სიეტლმა" მშვენივრად დაიწყო და საწყის მეოთხედში 34 ქულა ჩაუგდო მეტოქეს, მაგრამ „მინესოტა" მას ფეხდაფეხ მისდევდა და „მგლებმა" პირველი ტაიმი მხოლოდ ხუთი ქულის სხვაობით წააგეს. თითქოს არაფერი ემუქრებოდათ სტუმრებს, მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, შავ დღეში ჩაცვივდნენ. „სუპერსონიქსის" ლიდერი უმოწყალოდ ბომბავდა მათ კალათს, სხვებიც ხელს აშველებდნენ და როცა მეორე ტაიმში სტუმრებმა, როგორც იქნა, შეძლეს ბურთის ჩაგდება, ანგარიში უკვე 72:54 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. დარჩენილი დრო ფორმალობად იქცა. მეტოქე გუნდებმა ვნებათაღელვა დაიცხრეს, „მინესოტა" ასე თუ ისე მარცხს შეეგუა, მხოლოდ პეიტონი არ ისვენებდა და საბოლოოდ ამ სეზონში ყველაზე მეტი, 36 ქულაც დააგროვა.

**იუტა 85:79 დალასი**

იუტა: მელოუნი (29 ქულა, 10 მოხსნა)

დალასი: სებალოსი (19)

**საკრამენტო 103:91 ლეიკერსი**

საკრამენტო: ვებერი (20 ქულა, 12 მოხსნა)

ლეიკერსი: ონილი (27), ბრაიანტი (27)

**ნიუ ჯერსი 107:90 მილუოკი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (25 ქულა, 14 პასი), ვან ჰორნი (20)

მილუოკი: რობინსონი (25)

**კლივლენდი 107:93 ჩიკაგო**

კლივლენდი: სურა (29), კემპი (21)

ჩიკაგო: ბენჯამინი (15)

**შარლოტი 113:106 გოლდენ სტეიტი**

შარლოტი: ჯონსი (30 ქულა, 10 პასი)

გოლდენ სტეიტი: სტარქსი (28), ჯემისონი (26 ქულა, 10 მოხსნა)

**ატლანტა 99:81 კლიპერსი**

ატლანტა: რაიდერი (38)

კლიპერსი: ტეილორი (22), ოლოვოკანდი (17 ქულა, 20 მოხსნა)

**ფილადელფია 83:73 ჰიუსტონი**

ფილადელფია: მაკკი (16), სნოუ (16)

ჰიუსტონი: ფრენსისი (18)

**ბოსტონი 115:90 დენვერი**

ბოსტონი: უოლკერი (20)

დენვერი: მაკდაიესი (20)

მზიანი კალიფორნიის უდიდესი ქალაქის, ლოს ანჯელესის „ლეიკერსი" ამავე შტატის ადმინისტრაციულ ცენტრს — საკრამენტოს ესტუმრა და იქაურ „მეფეებთან" დაეცა. „საკრამენტო კინგზი" ლიგაში ცნობილია, როგორც ყველაზე კარგად შემტევი გუნდი. იგი შარშან დანარჩენ 28 გუნდზე მეტ ქულას აგროვებდა მატჩში საშუალოდ და წლეულსაც პირველია ამ მხრივ. მის მიერ მატჩში საშუალოდ გაკეთებული 106 ქულა საუკეთესო შედეგია ლიგაში, მაგრამ იმ დღეს მასპინძლებმა მძლავრი „ლეიკერსი" არა იმდენად შეტევის, არამედ დაცვის ხარჯზე დაამარცხეს. მასპინძლები კარგადაც მოიქცნენ, რომ აქცენტი საკუთარი ფარის საიმედოდ გამაგრებაზე გადაიტანეს, რადგან გახსნილ თამაშში „ლეიკერსი" საშინლად დასჯიდა მათ, როგორც ყოველთვის. სხვათა შორის, ეს გუნდები 81-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. აქედან „ლეიკერსმა" მხოლოდ 15-ჯერ წააგო, მაგრამ ადრე სხვა დრო იყო, „საკრამენტო" მუდმივად უძლური გუნდი გახლდათ და პანტაპუნტით აგებდა თამაშებს, ახლა კი, ეს მეორე წელია, „მეფეები" მოძლიერდნენ და საწაული უნდა მოხდეს, ამ გუნდმა პლეი ოფს უგანოს.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია დახურული ლიგა რომ არ იყოს და ქვედა ლიგაც ჰქონდეს, სადაც უძლურები დაქვეითდებოდნენ, ძნელი წარმოსადგენია, ზოგიერთი უსუსური გუნდი რა დღეში ჩავარდებოდა. მათ შორის პირველ რიგში „ჩიკაგო ბულზია" მოსახსენიებელი, ერთ-ერთი ყველაზე მაჩანჩალა. არადა, ძნელი წარმოსადგენია ასოციაცია მის გარეშე. „ხარებს", ვისაც 90-იან წლებში ექვსჯერ მოუგიათ ჩემპიონატი, საშინელი დროება უდგათ და მოგება სანატრელი გახდომიათ. სხვებიც ერთ დროს უძლეველზე ახლა იყრიან ჯავრს და „ჩიკაგოც" აგებს და აგებს. „კლივლენდმა" ზედიზედ მეათე მარცხი აგემა მას. უკვე პირველი ტაიმის შემდეგ 16 ქულას იგებდნენ მასპინძლები. ბევრით არაფრით გამორჩეულმა კლივლენდელმა ბობ სურამ პირველ ტაიმში 24 ქულა ჩაუგდო ძაბუნ მეტოქეს. სურას კარიერის რეკორდი 30 ქულაა ერთ მატჩში და ამ ჯეელს უფიქრია, ურიგო არ იქნება, ეს რეკორდი გავაუმჯობესოო და მეორე ნახევარიც დიდი შემართებით დაუწყია. ისედაც დაბეჩავებული სტუმრები მიხვდნენ, კლივლენდელი რისთვისაც იბრძოდა, და იმდენი ქნეს, 29 ქულაზე მეტის დაგროვების საშუალება არ მისცეს.

„ჩიკაგოზე" ბევრად ძლიერი არაა „ნიუ ჯერსი", მაგრამ მას, „ბულზისგან" განსხვავებით, სოლიდური შემადგენლობა ჰყავს და ცოტა მეტი ფხა რომ გამოიჩინოს, ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის ფსკერზე არ მოუწევს ყურყუტი. მაგრამ რიგ მიზეზთა გამო, „ნიუ ჯერსი" იშვიათად ახერხებს კარგად თამაშს და ამიტომ დიდად გასაკვირი იყო მის მიერ საკმაოდ ძლიერი „მილუოკის" დამარცხება. ივაჟკაცა „ნეთსის" გამთამაშებელმა სტივენ მარბერიმ და საიმედოდ ამოკეტა მეტოქის ლიდერი სემ კასელი, რომელიც ათ ქულას დასჯერდა, მაშინ, როცა მისგან სულ მცირე, ოცდაათს ელოდნენ. კასელი ექსნიუჯერსელია და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყოფილ გუნდთან თავს გამოიდებდა. კასელმა ურიგოდ არ დაიწყო თამაში, მაგრამ მალევე მოექცა მარბერის კლანჭებში და იძულებული გახდა, „შურისძიებაზე" ხელი აეღო.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS დელიდან

# ოსკარის საცოლე

რომორც იქნა, ხალხმა იხილა განთქმული მოკრივის ოსკარ დე ლა ჰოიას საცოლე. არა, ამ გოგოს, სახელად შანა მოუკლერს ბარე ყოველ შაბათსაც ხედავენ განთქმული ტელეშოუს „პასიფიკ ბლუს“ მაყურებლები, მაგრამ ტელევარსკვლავისა და მოკრივის რომანი აფიშირებული არ ყოფილა, ამიტომაც მრავალი ფოტოაპარატი აჩხაკუნდა ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში“, სადაც მუსიკალური სუპერჟურნალი „ბილბორდი“ ლაურეატებს აჯილდოებდა.



REUTERS ლას ვეგასიდან

## ინდოეთის ლიგა

ინდოელთა ფეხბურთისთვის თუ გიმზერიათ? დიდად ვერ გირჩევთ, მაგრამ მაინც, იქ ქვეყნის ეროვნული ლიგის მეოთხე ჩემპიონატი დაიწყო. გახსნით თამაშზე თავად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ატალ ბეჰარი ვაიპაიე მისულა და ბურთი თამაშში შეუყვანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ფეხბურთის წამოქაჩვას აპირებს. თუ გამოუვა, რა თქმა უნდა.



REUTERS დურბანიდან

## შტეფი აფრიკაში

აწ გადამდგარი ჩოგბურთის პირველი ლედი, შტეფი გრაფი სამხრეთ აფრიკაშია. დურბანის ვესტრიჯ პარკში ის დაუნანებლად არიგებს ავტოგრაფებს და გაკვეთილებსაც უტარებს ნორჩ ჩოგბურთელებს. იმავ ვესტრიჯის კორტზე შტეფის გასართობად უთამაშია სამხრეთაფრიკელ ამანდა კუტცერთან და 6:3, 7:6 მოუგია კიდეც.

# დაამხობს

ამ პლაკატზე წერია რომ ლეგენდარულ ჟოკეის, ბილ შუმეიკერს კარიერაში 8,833 სადოღ-გარბენი მოუგია, ჟოკეი ლეფიტ პინსეის კი ჯერჯერობით 8,831. თავად პინსეი შორიახლო დგას და გვეუბნება, ცოტაც და ამ უდიდეს რეკორდს დავამხობ ჩემს ქურანა „პროტოტაიპთან“ ერთადო. ეს ამბავი კი ინგლვუდში, ჰოლივუდ პარკში ხდება.




REUTERS ინგლვუდიდან



# დაჯარიმებული

არა, ბატონებო, ეს სურათი „მანჩესტერ“ „ვალენსიას“ მატჩის შემდეგ არ არის გადაღებული. დევიდ ბექემი კი იცინის, მაგრამ არა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში გამარჯვების გამო, არამედ, უბრალოდ, იოლად ხვდება ყოფით პრობლემას. ბექემის გვერდით მდგომი კაცი ქალაქ სტოკპორტის მაგისტრატურის დაცვის მუშაკია. სწორედ ამ ქალაქის ქუჩაზე დაუკავებიათ დევიდი სიჩქარის გადაჭარბების გამო და ჯარიმაც გამოუწერიათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ქართული ფეხბურთის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქტორი** სოლომონ გულისაშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორაშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli